ტური და სინტრეითი ხასიათის მიუხედავად ფსიქოლოგიურად ხშირად მეტყველებს და ექსპრესიულია. იგი ხან შინაგანი ცხოვრების მღვალტარებას, ხან სიცარელსა და სიცივის გამოსახებას. ავადმყოფის სუბიექტური განცდები თავის განსახიერებას სივრცეში განლაგებული ფორმების დეფორმაციაში, დამახინჯებულ, წაგრძელებულ საგნებში, ვგელოვით დავალინელ ხაზებში პოულობს. ამ მხრივ პათოლოგიური მხატვრობა, ჩვენის აზრით, თავისებურ ნათესაობაშია სასტიკი ხელოვნების ისეთ მიმართულებასთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინდივიდუალიზმი, გარემოს სუბიექტური ათვისება, სინამდვილის დეფორმაცია და დამახინჯება, სხეულის დისპორპორცია, ძლიერი ექსპრესიულობა, კუხალტაცია და სხვა.

საკვითი ხელოვნების გეოლუციის მანძილზე, მხატვრობის ზოგიერთ ძირითად პერიოდებსა და პათოლოგიური მხატვრობის თავისებურებათა შორის გარკვეული ანალოგიებისა და პარალელების დადასტურება შეიძლება. მაგრამ ეს არ თქმის ისეთი ეპოქების მიმართ, როცა საკვითი ხელოვნება თავისი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს; მხედველობაში გვაქვს ანტიკური საბერძნეთის პლასტიკური ხელოვნება, რენესანსის და კლასიციზმის ეპოქა, XVII საუკუნის ჰოლანდური მხატვრობა, რომელიც თავისი მსოფლმხედველობით რეალისტურია, პოზიტივისტური, კლასიკური და აკადემიური. ცხადია აქ გვრავთარ ანალოგია ვერ ვიპოვებთ პათოლოგიურ მხატვრობასთან, რომელიც სინამდვილის ობიექტურ ასახვასა და გამოსახულების რეალისტურ შეთოდებს გაურბის და უკიდურესი სუბიექტივიზმით ხასიათდება.

მაგრამ ნათესაობა სულით დაავადებულთა მხატვრობასთან განსაკუთრებით XX საუკუნის თანამედროვე დეკადენტური მხატვრობის სხვადასხვა მიმდინარეობაში იჩინა თავი. პათოლოგიურ მხატვრობასთან ანალოგიამ გვიხს ქვეშ დააყენა დეკადენტური მიმართულებანი მხატვრობაში. გამოფენის დარბაზებში სულ უფრო ხშირად გაისმოდა ხმა დეკადენტი მხატვრების ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსების შესახებ, მაყურებელი ვაკვირებით იკიხულობდა — ღია ხომ არ დარჩა ფსიქიკებით კლინიკის კარებში? განასულა ძველი პრობლემა შემოქმედებით აქტივობაში აორმაზობის გარკვეული საფეხურის შესახებ.

შემწილმა გარემომამ ფსიქიკოპათოლოგიების და ხელოვნებთმცოდნეების შეწინიერი ინტერესი აღძრა. გამოითქვა მრავალი, ერთი შეიკის საწინააღმდეგო აზრი. სულით დაავადებულთა და თანამედროვე მხატვრობის შედარებითი შესწავლა მორსელში (1894) დაიწყო. მკვლევარმა ორივესათვის საერთო და დამახასიათებელი ნიშნები: ინდივიდუალიზმი, იდეოგრაფიზმი და სიმბოლუზმი შენიშნა. ფილადელფიაში (1921) გამოფენილი იყო თანამედროვე მხატვრების სურათები, რომლებშიც მკაფიოდ შეინიშნებოდა ფორმისა და ფერის პერვეციების დარღვევა. ფსიქიატრების შემოქმედით აღნიშნული მხატვრები სულით ავადმყოფები აღიზრდნენ. ვეიტანტმა (1923) ცამუტი მხატვარი შეისწავლა; მკვლევარის დაკვირვებით, მხატვრები, რომლებიც ფსიქიკურად სასხებით ნორმალური აღმოჩნდნენ, საკმაოდ დეფარმირებულ ნახატებს კმნიშნდნენ. მათ მხატვრობაში ყურადღებას იპყრობდა ფორმების სისუსტისა და სიმეკვივრის უცმარობა, უცნაური და მანერული დეტალების სიმრავლე, მინოტური განმეორება, გაუკებარი სიმბოლუზმი, სტილიზაციისადმი მიდრეკილება და სხვ. ავტორის დასკვნით, ზემოხსენებული თავისებურება დამახასიათებელია როგორც პათოლოგიური, ისე თანამედროვე მხატვრობისათვის. პათოლოგიური მხატვრობის გამოფენებმა ინგლისში (1913), პარიზში (1928, 9, 46), ნიუ-იორკში (1936) და აგრეთვე ინტერნაციონალურმა გამოფენებმა პარიზში (1950) კიდევ უფრო გაამყარა პათოლოგიურ მხატვრობასა და თანამედროვე ხელოვნებას შორის უროიერთობის პრობლემა. ხელოვნებთმცოდნეები დეკადენტ მხატვრებს ესთეტიკურად გაუკუღმარებულ, პარაესთეტიკულ, აშკარად გამომსატლი პათოლოგიური ტენდენციების მხატვრებად სთვლიან. სიგიჟემ, რომელიც მხატვრობაში არსებობდა, მათი აზრით, მთელი სიმბოლუზმი XX საუკუნეში იფუტა. საყვიალურად იქნა შესწავლილი თანამედროვე მხატვრული მიმდინარეობანი — კუბიზმი, აბსტრაქციონიზმი და

იერონიმ ბოხის კუბრიზიანი ტექ და თვალბიანი მიწოდობი



განსაკუთრებით სიურეალიზმი. ლაფორამ (1923) დაადასტურა, რომ ფსიქოპათია ნახატების დიდი რაოდენობა თავისი კომპოზიციით, კონსტრუქციით და კოლორითი კუნისტური აბსტრაქციუბია და ამ მიმდინარეობათა არსებითი ნიშნები აღწერა: აუტისტური ტენდენცია, სინამდვილის სუბიექტური გადამუშავება, სიმბოლიზმი და სტილიზაცია. ბიხოსკის (1922) აზრით, კუბიზმისათვის და ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელია ხელოვნური რეგრესია პრიმიტიული და აბსტრაქტული ფორმებისაკენ, უკიდურესი სუბიექტურობა, სასურარევეთილება და პათოლოგიური გამოვლინებანი. ფერნანდემ (1933) სულით დაავადებულთა ნახატები სიურეალისტური მხატვრობის შვადარა. ორთავე შემთხვევაში საერთო აღმონდა: დისოციაცია, ამბივლენტობა, ინფანტილიზმი, რეალობისთან კონტაქტის დაკარგვა და სექსუალური შფოთვა.

მაგრამ მართებულია თუ არა თანამედროვე დეკადენტური მხატვრობის კრიტიკისათვის ფსიქოპათოლოგიური კრიტერიუმის გამოყენება?

პრინცპორნის აზრით, მხატვრული ნაწარმოები არ უნდა ფსდებოდეს ფსიქოპათოლოგიური კრიტერიუმით, რადგანაც ხელოვნების შესწავლა უფრო მეტს აღძვევს ფსიქიატრიას, ვიდრე ფსიქიატრიის შესწავლა ხელოვნებას. მანდლინის (1934) შეხედულებით შემოქმედებითი აქტივობა ანორმალობის ზოგიერთ საფეხურს მოითხოვს, მაგრამ ეს საფეხური, მისი აზრით, არ უნდა შორდებოდეს ჩვეულებრივ „ისტანდარტულ ჯგუფებს“; ფსიქიზით დაავადებული ფსიქიკური მდგომარეობა კი სასებით გამოცალკევებულია ასეთი ჯგუფისაგან. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მხატვრობის პათოლოგიური თვალსაზრისით განხილვა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. გამორჩენილი აღმინაების — მწერლების, პოეტების, მხატვრების ბიოგრაფიების ანალიზი ხშირად მათ ფსიქიკურ არასრულირებულობას გვიჩვენებს. მხატვარს, ისე როგორც საერთოდ ინდივიდუმებს, შეიძლება ფსიქონევროზების მთელი გაზა ახასიათებდეს. შეიძლება ზოგიერთი თანამედროვე მხატვარი ფსიქონევროზულ მდგომარეობაში იყოს, მაგრამ ამის გამო თანამედროვე მხატვრობის პათოლოგიურად გამოცხადება ისევე არ არის მართებული, როგორც იმის თქმა, რომ ტრადიციული მიმართულების მხატვარი უფრო ნორმალი და კანონიკალი, ვიდრე თანამედროვე დეკადენტ მხატვარი. გამორჩენილი პაბლო პიკასო, მხატვრობაში ექსპრესიონიზმის, კუბიზმის, და სიურეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წარმომადგენელი, ოჩიკის ნოშობით, ჩვენი დროის ყველაზე სადი გონების და ფსიქიკურად საყებით სრულირებული პიროვნებაა.

მასადაამე, ყოველგვარი პათოლოგიური თავისებურების გარეშე, დეკადენტ მხატვრების უმრავლესობა ისეთ მხატვრობას ქმნის, რომელიც პათოლოგიური მხატვრული პროდუქციის მსგავსია და ძალაუბრება აყენებს საკითხს მათი ურთიერთობის შესახებ. მაინც რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს მსგავსება?

თუ მას ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით განვიხილავთ, განსაკუთრებით კი ფორმალური ნიშნების მხრივ, ორთავე გამოსახულებისათვის საერთოა რეალური სინამდვილის უგულვებლყოფა, გაუგებარი, უნდაური სიმბოლოების გამოყენება; ფორმების ხელოვნური დარღვევა, დეფორმაცია, დეკორატულობა, გეომეტრიული ფორმების ასახვა, პერსპექტივის დარღვევა, ფერების ნებისმიერი ხმარება და გარემოს აბსტრაქტულად გაოსნების ტენდენცია. ერთი სიტყვით, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, პარიონის დარღვევა და მხატვრული ნაწარმოების ფორმალური ასპექტების გამახსლებლობა, რაც ჩვენი დაკვირვებით ორთვე მას მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი.

მაგრამ, როგორც ეს ზემოთ მოტანილი მსჯელობიდანაც ჩანდა, საკითხის გასარკვევად მხოლოდ მსგავსების დადსტურება არ არის საკმარისი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით დეკადენტ მხატვარი კვლავ პათოლოგიურ პიროვნებად გამოვაცხადოთ, რაც, როგორც ვნახეთ, არ არის მართებული. საკითხის შესწავლა განსხვავების ძიების მიმართულებითაც უნდა წარიმართოს. მაგრამ განსხვავების პოვნა მხოლოდ ნახატის სტილისტური ანალიზის, მისი



სლავტორ დალი ცეცხლბოკიდებული ძირაფთ

ფორმისა და შინაარსის ურთიერთშეადრების გზით შეუძლებელია. ასეთი გზა, როგორც ვნახეთ, არ იძლევა მნიშვნელოვანი განსხვავების დიდების შესაძლებლობას. მასადაამე, კვლევისათვის სხვა გზა მოსახანია და აქ პირველი რიგში ფსიქოლოგიამ უნდა გავეაწიოს დანხარება. საქმე ისაა, რომ გარეგნულად მსგავსი ყოველგვარი მოქმედება, ფსიქოლოგიურად შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს, სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მოტივებით იყოს გაპირობებული. თუ დაავადებული პიროვნებისა და დეკადენტ მხატვრის შესწავლა ასეთ განსხვავებას დაგვიანდასტურებს, შეიძლება ამის მეშვეობით თვით მათ მხატვრობაში მონიხრდეს ისეთი განსხვავების დანახვა, რაც უამისოდ შეუმჩნეველი რჩება.

ამ თვალსაზრისით მკვლევართა უმრავლესობა სულით დაავადებულთა მხატვრული პროდუქციისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შვემნის საკითხს შეეხო. შტერცმა პათოლოგიურსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის დამოკიდებულება განიხილა და პასიური და აქტიური შემოქმედების ფორმა გამოჰყო. მისი აზრით, ერთის მხრივ პასიურ, არქაულ, ინტუიტურ და, მეორეს მხრივ, აქტიურ, რაციონალურ, ცნობიერ მოვლენებს მალთან განსხვავებული თავისებურება შეაქვს დაავადებულთა და ხელოვანის მხატვრულ შემოქმედებაში. ვინაგვარი მხატვრული შემოქმედებაში საჭირო არქაულ — ინტუიციის და კონსტრუქციის პროცესებს განასხვავებს. ვეალიდი აღნიშნავს, რომ მის, რაც არქაულ გმოქმად, ადრედ ბავშვობაში და პრიმიტიულ ხელოვნებაში ინსტიქტურად ვიიარდებოდა, თანამედროვე აბსტრაქტული ხელოვნებითი აზროვნებისა და ფილოსოფიური გასწავის გზით, ხელახლა იქნა აღმოჩენილი. პრინცპორნის აზრით, მოდერნულ ხელოვნებაში მხოლოდ ინტელექტუალური კონსტრუქციები გვაქვს, მაშინ როდესაც ავადმყოფები მიილტვიან იქით, საითაც მათ აონიხური ძალა წარმართავს. დრაკულდემ სცადა არაწინ-



ივრანნი ბოსი

წმ. ანტონის ცდენება (დეტალი)

ბიერის მიმართ ოდნობითი ცნების შემოღება: სულთ დაავადებულთა ხელოვნება უფრო სუფთაა, ვიდრე ინსტიტუტური და პრიმიტიული და უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე სიურრეალისტური. ოთხიდან, მისი დასკვნით, პირველი აბსოლუტურად ცნობიერების კონტროლის გაგრძე ხორციელდება, ხოლო უკანასკნელი ყველაზე მეტად ემორჩილება ცნობიერების კონტროლს.

პათოლოგიური მხატვრობის სიურრეალისტურ მხატვრობასთან მიმართება საეტიკურად ანრი ეიმ იველია. გველვერის კონცეპციაში ცენტრალურია ავტობიოგრაფიის ცნება. მისთვის სულით დაავადება სიზმრის იდენტურია. ფსიქიატრიის ობიექტი ფსიქიკური ცხოვრების ყველა ვარიაციის შესწავლაა, აქ არსებითია იძულებითი რეგრესია ავტობიოგრაფიისკენ, რომლის ტიპურ მაგალიტს სიზმარი წარმოადგენს. ავტორის გამოთქმით ეს კონცეპციის ლეიტმოტივია. სიგივე ყველა თავისი ფორმით თავისუფლებისკენ მიისწრაფვის. იგი, მისი შეხედულებით, მხოლოდ ასეთ პერსპექტივამ განიხილება. ავადმყოფური აზრი, განსაკუთრებით ბოღებითი აზრი, ავტობიოგრაფიის წარმოადგენს, მის თავისუფლ თამაშს. თუცა იგი შექანიერული არ არის, მაგრამ თვითნებურია, ნაკლებად ცნობიერი და გაურბის ფსიქიკური ინტერვალის უშუალოდ ფორმების კონტროლს.

ა. ეს შეხედულებით სიურრეალისტურ და პათოლოგიურ პროლეტარია ერთნაირი, იდენტური, ესთეტიკური ღირებულება გააჩნია. ზოგიერთი სიურრეალისტი მხატვრის დარღვეული ფორმები თავისი ესთეტიკური ღირებულებით სახვებით ემთხვევა „ნიჭიერი“ სულით დაავადებულთა მხატვრობას. თუცა, შეინიშნავს ეი, ავადმყოფებთან ესთეტიკური ღირებულების მქონე პროლეტარია იშვიათია და კიდევ უფრო იშვიათად აღუქვენ ისინი სიურრეალისტების ფანტაზიის მაღალ დონეს. პათოლოგიური პროლეტარიათვის, მისი აზრით, დამახასიათებელია ფორმების და თემების სიღარიბე და სტერეოტიპობა.

მაგრამ მხატვრობის ამ ორ განზრ შორის განსხვავებას ეი თვით მხატვრობით პროლეტარის არსში ხედავს. მხატვრის მიერ ტილოზე, ავადმყოფობა, თუ ქაღალდზე გამოსახული სიურრეალ ნაწარმოები გარკვეულ ფორმად ობიექტივირდება, გადმოყვება თავის ავტორს და სხვას დაუკავშირდება. ეის აზრით მხატვარი შთაგონებას ეძლევა

თუ არანობიერი ავტობიოგრაფია, მაინც ყოველთვის ახერხებს თავის შემოქმედების იზოლაციას საკუთარი თავისაგან. მხატვარი კქმნის ესთეტიკურ ნაწარმოებს და თან შირდება მას, მაშინ როდესაც ავადმყოფი და მისი ნაწარმოები მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული. ავადმყოფის ნაწარმოები „ესთეტიკური ობიექტია“ და არა ესთეტიკური ნაწარმოები, რომელიც, ეის აზრით, „სიურრეალისტურ იდეალს“ განასიორცილებს და რომელსაც ვერცერთი სიურრეალისტი ვერ მიადევნებს თუ ის ნამდვილად არ არის გიგი. ანრი ეის თავისი მისაზრების დასაბუთებლად ყველაზე ექსტრავაგანტური სიურრეალისტი, ცნობილი მხატვარი სალვატორ დალი მოჰყავს, რომლის სისტემატური ფანტაზია და ექსცენტრიულობა „განზრას“ და „განგებ“ ხასიათს ატარებს. სალვატორ დალი თავის თავს „პარანოიდ-კრიტიკოსს“ უწოდებს. ეის რწმენით, სიურრეალისტების პარანოზია და საერთოდ მათი სიგივე მოჩვენებობა, თავისუფალი სიგივეა, ე. ი. აბარსებული სიგივე.

როგორც მთელ რიგ მკვლევართა შეხედულებიდან ჩანს, სახვით მოქმედება ძირითადად ორი პოლარული პოტიენტი არის გაბიობებული: პასიური და აქტიური ფორმის შემოქმედებით, არაცილობიერი და ცნობიერი პროცესების, სპონტანური, ინსტიტუტური, ირაციონალური და ინტელექტუალური, ნებისმიერი, შეგნებული ძიებით. ამასთან დაკავშირებით, სრულიად გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და უნაძის მოძღვრება ფსიქიკის ორი დონის შესახებ.

განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით პიროვნების ფსიქიკური ცხოვრება ორ დონეს ეულისხმობს: განწყობის დონესა და ობიექტივტიკის დონეს. ამ დონეთა იერარქიული კავშირი ქვეის სტრუქტურას განაპირობებს.

ნორმალურ პირობებში ქვეის სტრუქტურაში ერთიერთობა პირველსა და მეორე დონეს შორის ნორმალურად მიმდინარეობს. ფსიქიკური ცხოვრების დონეთა შორის დარღვევას პათოლოგია იწვევს. ამ მხრივ პროფ. ბ. ზაგალას კვლევის მიხედვით აშორელების ღირსია შიზოფრენიით დაავადებულ პიროვნების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილება.

ფსიქოს დაავადებული პიროვნების სტრუქტურაში ცვლილება შეაქვს. შიზოფრენიით დაავადებულის ქვეის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ობიექტივტიკის უნარის მტკავლება გამოხატული ინაქტიურობასთან, ობიექტივტიკის აქტის განხორციელების, მისი გამოყენების განხლებასთან გვაქვს საჭიე. ამასთან დაკავშირებით ირღვევა ნორმალური კავშირი პირველ და მეორე დონეს შორის. ობიექტივტიკის დონის ინაქტიურობის გამო შიზოფრენიით დაავადებული მოქმედებს დაბალ, იმპულსურ განწყობისკულ პლანზე. მისი ქვევა ავტობიოგრაფია, ავადმყოფი თავისუფლად, სპონტანურად ნებელობისა და აზროვნების აქტიური ჩარევის გაგრძე მოქმედებს. ცხადია, შიზოფრენიით დაავადებულის სახვითი გამოსახულება, როგორც ქვეის ერთ-ერთი სახე, განწყობის დაბალ დონეს ვერ ასცოდლება. შიზოფრენიით დაავადებულის ხატვა სპონტანური, ბუნებრივი, უშუალო გამოვლენაა. განწყობა ხომ პიროვნების ძირითადი, არსებითი, სუბსტანციონალური, ინტენზივი მდგომარეობაა. პიროვნება სწორედ ფსიქიკის დაბალ დონეზეა ყოველზე მეტირად დაკავშირებული განწყობის უშუალო გამოვლენასთან. „ცნობიერების განვითარების პირველი ეტაპი ვერ კიდევ უშუალოდ ემთხვევა განწყობას — წერს და უნაქამ — უშუალოდ უკავშირდება სუბიექტის მილიან მდგომარეობას... აქ იგი სუბიექტური და მთლიანობითა, ბოლო საფეხურზე კი, პირიქით, იგი ობიექტურია და განაწვევებული. განწყობის მთლიანი დონის ამაზა დარჩენილი შიზოფრენიით დაავადებული მოვლიანდაა ჩართული ხატვაში, თავის განცდებში. ავადმყოფი უშუალოდა შერწყმული თავის სახვით პროლეტარიათან, გაუნაწვევებულაა მისგან.

მაგრამ თანამედროვე დეკადენტური მხატვრობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სიურრეალიზმი აშკარა „პრეტენზიას“ აძინებს სულით დაავადებულთა მხატვრობისათვის დამახასიათებელ ფსიქოპათოლოგიურ თავისებურებაზე.

სიურრეალიზმი, როგორც ანდრე ბრეტონმა 1924 წ. თავის მა-

ნიფტის მიწის განსაზღვრა, „წმინდა ფსიქიური ავტომატიზმი, რომლის საშუალებითაც აზროვნების რეალური მოქმედება სიტყვიერი, წერილობით, ან სხვა რამ შესაძლებლობით გამოსახა ყველგვარი ლოგიკისა და გონებრივი კონტროლის გარეშე“.

სიურრეალიზმი რეალური სინამდვილის ასახვას უარყოფს და კმნის ზერეალურს, ახალ რეალობას. სიურრეალისტი შეუზღუდავი ფანტაზიის, ოცნების, სიზმრის წარმავალ ხატებს კმნის. იგი გამოსახავს ბოღვით შეპყრობილი ავადმყოფის მონაცან სამყაროს და გადმოსცემს კომპლექსურ მოჩვენებებს, მაგიურ სიმბოლიკას, ინოვაციურ და არაციტიზურ მხატვრობას. მხატვრობა სინამდვილის სხვადასხვა მოვლენების ხატების აგლიტინაციებს და შემეჭიდრობას იძლევა, რომელსაც თავისუფალი ფანტაზიის ავტომატური თამაშის, სიზმრის და ოცნების დროს აქვს ადგილი.

თუ ანდერ ბრეტონმა სიურრეალისტურ შემოქმედებას საფუძვლად ფსიქიკური ავტომატიზმი დაუდო, ცნობილი სიურრეალისტი მხატვარი სალვატორ დალი თავის პარანოიულ-კრიტიკულ მეთოდს ახასიათებს, როგორც ირაციონალური შემეცნების სპონტანურ მეთოდს, დაფუძნებულს ბოღვით ასოციაციების კრიტიკულ ინტერპრეტაციაზე. ხოლო თავის შემუშავებულ სალვატორ დალი სწერს — „მე ვარ შემოქმედის, გარდა ერთი პუნქტისა, სადაც მე არა ვარ გიჟი“.


სიურრეალიზმი იმ დროს ჩაისახა, როდესაც დაავადებულთა მხატვრობა პირველად გამოვიდა ფსიქოპათოლოგიის კლინიკის ფარგლებიდან. პაბლო პიკასო კარვად იცნობდა მხატვარ ერნსტ იოზეფ-სონის შოზოფრენულ მხატვრობას, ინფანტურ, ფსიქოპათოლოგიურ ხელოვნებას. მოდერნისტული მხატვრობის წარმომადგენლები — კანდინსკი, პაულ კლეე, მაქს ერნსტი, შაგალ, ჩირიკო, მირო და სალვატორ დალი გატაცებული იყვნენ პრიმიტივიზმის, ინფანტილიზმის და სულით დაავადებულთა მხატვრობით და შეგნებულად ავითარებდნენ მათ ფორმებს. მოდერნისტულ მხატვრობას და განსაკუთრებით კი სიურრეალიზმის განვითარებას ხელს უწყობდა ზ. ფრიილის მოძღვრება. 1914-18 წლებში ქ. ციურიხი ფსიქონალიზის ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ვერობის მხატვრები და მწერლები, მათ შორის სიურრეალიზმის წინამორბედი — ტკარა, ანდერ ბრეტონი და სხვ. საფუძვლიანად გაეცნენ ფსიქიკურს და ფსიქონალიზურ მოძღვრებას, რომლის საფუძველზე განვითარდა მიმავალი სიურრეალიზმი.

სიურრეალიზმის „პრეტენზია“, როგორც უკვე ვნახეთ, უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. მსგავსება სულით დაავადებულთა და სიურრეალისტურ მხატვრობას შორის ყველასათვის ნათელი ვახდა. სიურრეალიზმი ხომ თავისი შემოქმედების საწყისებს სიზმრის, ოცნების, არაციტიზურ სამყაროში ეძებს და მხატვრული ფორმის შექმნას ფსიქოზისათვის იმანენტურ ბოღვად იცდილობს. ამ მიზრით მათ შორის განსხვავება არ უნდა იყოს და, მაშასადამე, უნდა დავეუფლო, რომ სიურრეალისტურ მხატვრები, ისე როგორც შოზოფრენიით დაავადებულები, მხატვრულ შემოქმედებას ფსიქიკური ცხოვრების პირველ დონეზე უნდა ახორციელებდნენ.

განწყობის როლი სახვით შემოქმედებაში ძალიან დიდია, მაგრამ შეუძლებელია ხელოვნების უდიდესი მიღწევების მხოლოდ განწყობის უწყობით მოქმედების შედეგი იყოს. შემოქმედებითი ინსპირაციის მდგომარეობაში ხელოვანი შესწავლას ძალა იმპულსური ქვეყის უშუალო მოქმედება შეაჩეროს, ნებისმიერ დაუბორობილს და შემოქმედებითი მიბეჭდვაცაა მოასდინოს. ნებელობით აღჭურვილი მხატვარი აქტიურ შემოქმედებას იწყებს.

სიურრეალისტი მხატვარი სრულიად ცნობიერი და თავისი შემოქმედების შეგანისხმად ფსიქიურ ავტომატიზმს და პარანოსის მოვლენებს ავიდარებს და, თუ შეიძლება ითქვას, შეგნებულად ცდილობს, შოზოფრენიით დაავადებულის მსგავსად თავისი სახვითი ქცევა ფსიქიკის დაბალ, პირველ დონეზე წარსართოს.

მაგრამ თუ შოზოფრენიით დაავადებულ განწყობის პირველ დონეზე მოქმედებს და ავტომატური, სპონტანური ხატებით თამაშობს, სიურრეალისტი მხატვრის შემოქმედება უკვე ობიექტივაციის



„გარდამქნა“ რამონდის „შოზოფრენიით დაავადებულს“ სახატო

პლანზე მიმდინარეობს. სიურრეალისტურ იდეალს შოზოფრენიით დაავადებული სპონტანურად, თავისუფლად, განწყობის პლანზე ასრულებს. სიურრეალისტი მხატვარი იცვებს ობიექტივაციის პლანზე, ნებისმიერად, განზრახ ახორციელებს და მხატვრულ ნაწარმოებს კმნის.

სიურრეალისტი მხატვარი „განგაზ“ იცნენებს მაგიურ სიმბოლოებს, ინიციოტილ და ბოღვით წარმოდგენებს, ფორმების ნებისმიერ დამახინჯებას, ნეომორფიზმებს; რეალური საგნების და მოვლენების უცნაურ დაპირისპირებას და ასოციაციების დამყარებას. სიურრეალისტური ფანტაზია „განგაზ“ შექმნილია. სიურრეალისტი მხატვრობა ვაზარებულ და მიფიქრებულთა.

ამრიგად, შოზოფრენიით დაავადებულის სახვითი მოქმედება და მხატვრული პროდუქცია, როგორც უკვე იყო ნათქვამი, უშუალოდ აღმოცნებული, ფსიკიკის დაბალ, განწყობის დონეზე იმპულსურად, გაუცნობიერებლად ჩამოყალიბებული პროდუქციაა და მჭიდროდაა დაკავშირებული და შერწყმული მის პიროვნებასთან. სულ სხვა გარემოებას აქვს ადგილი ფსიკიკის მეორე დონეზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების შემთხვევაში. ხელოვანი აქ, ნებისმიერად, ობიექტივაციის საფუძველზე, მხატვრულ ნაწარმოებს კმნის, უპირისპირებას იმას, გარეგან ზეგავს თავისი შემოქმედების საგანს და, ადრე თუ გვიან, დაშორდება ხელს მას. თუ დაბალ დონეზე გამოვლენილი მხატვრული პროდუქცია მოკლებულია მხატვრულ ღირებულებებს, ფსიკიკის მაღალ დონეზე მხატვრის მიერ შექმნილი ხელოვნური ნაწარმოები თვალსაჩინოდ გამოირჩევა თავისი მდიდარი ფანტაზიით, კომპლუქსივით და შესრულების ტექნიკით. ამიტომაც, რომ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მსგავსება, მაინც ყოველთვის გვრწმობთ ვის გუთუნის მხატვრობა — ავადმყოფსა თუ მხატვარს.



ფოთის გ. გვინიას სახ. სახელმწიფო თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახ. არტისტი გიგა ებრაღიძე.

## 30 წელი ქართულ სცენაზე

კარლო კომახიძე

სამ ათწლეულ ფილმი მეტია ნაყოფიერ შექმედებით მოღვაწეობას ეწევა ფოთის დრამატული თეატრალური დასი. აქაურ აქტიორთაგან იშვიათად თუ ვინმეს უცდია განშორებოდა თეატრს. უმრავლესობა ბოლომდე ეროვნული დარჩენილა გუნდის ელი თეატრის მაღლიანი სცენისა, გულით

შეეყვარება მისა საზოგადოება და მრავალჯგისი განუცდია შემოქმედებითი აღიარების სიხარული. ასეთ აქტიორთა პლუადაში ღირსეული ადგილი აქვს

დამკვიდრებული საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს გიგა ებრაღიძეს. შემოქმედებითი ნიჭითა და სცენური ოსტატობით აღჭურვილი ეს მსახიობი


ოცდაათი წელია გულმართლად ემსახურება ქართულ სცენას. აქედან პირველი ჭაბუკური წლები თავის მშობლიურ ლანჩხუთის რაიონში გაატარა. იქაური თეატრის



სცენაზე გაიცინეს იგი, როგორც მსახიობი, ისეთი საინტერესო სახეებით, როგორც იყო მამასახლისის თანამშემწე და იასონი შ. დანდიას „ნინოშვილის გურამი“ და ე. ნინოშვილის „ქრისტინეში“; ლევანი და გოდუნე ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“ და ბ. ლავრენივის „რედევაში“; გიფუა ა. ცაგარის კომედიაში „რაც გინახავს, კედლარ ნახავ“ და სხვ.


ამ სახეთა სცენურ ამეტყველებაში მსახიობმა მკაფიოდ გამოავლინა თავისი შემოქმედებითი კრედი, ნათლად გვიჩვენა გარდასახვის მრავალფეროვნება და საკმაოდ ავტორიტეტულ მოპოვა. ეს ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა ფოთის თეატრში, რომლის წამყვან აქტიორთა შორის იგი მოსვენის დღიდან — 1947 წლის სექტემბრიდან ითვლება.

ფოთელთა წინაშე გიგა ებრაელი პირველად ჰეროიკულ დრამაში („ახალგაზრდა გეორგია“) წარსდგა. მან შესანიშნავად გამოკეთა პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირის, მგზნებარე პატრიოტის — ანდრეი ვალკოს სახე. აქედან მოყოლებული გ. ებრაელიმ ყოველი სეზონის თითქმის ყველა დადგმაში წამყვან როლში გამოდიოდა, და ისე, როგორც ნამდვილ ხელოვანს შეუვინის. მის მიერ წარმოსახულ იერსახეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ბახა „მოკვეთილში“, სავა ველჩკოვი „ამქვეყნიურ სამოთხეში“, გიორგი სააკაძე „გიორგი სააკაძეში“, ჯემალი „ჩაძირულ ქვებში“, გესტაპოს კომისარი ბემი „იულიუს ფუჩიკში“, დლუჟინი „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, სოლომონ ფულარია „უჩა უჩარდიაში“, პეტრე „არსენაში“, პავა თორნიე „ხარატანთ კერაში“, ღონ ხოზეღე სანტაროსი „ღონ სეზარ დე ბახანში“, კარდინალი მონტანელი „კრაზანაში“, მეფე ერეკლე „მაია წყნეთელში“, გიორგი „ოთარაანთ ქვირვი“ და სხვ.



გიგა ებრაელიმ სექტაქლში „პარაკენე“

ფოტოები პავლე შვიჩანაშვილი



გიგა ებრაელიმ სექტაქლში „ბარბელ გოლა“

ყველა ამ როლში მსახიობი გმირის ნიშანდობლივ მახარეთა მართალი, ცხოვრებისეული გამოსახვით დიდად უწყობდა ხელს მთლიანი ანსამბლის და, საერთოდ, სპექტაკლის წარმატებს. არტისტობში, ღრმა შემოქმედებითი განცდა, როლის იდეური გახარება და მკაფიურბელთა წინაშე მუდამ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ებრაელიმ ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს. ამიტომ შეიყვარა იგი გულწრფელად მაყურებელმაც და ამიტომ იყო, რომ მას სასცენო მოღვაწეობის 20 წლისათვის დიდი ზეიმით გადაუხადეს, ბევრი ქება და მადლობა უძღვნეს და კვლავაც წარმატებები უსურვეს. ამ ორი წლის წინათ კი ღირსეულად დადგამდა მსახიობის უანგარო მოღვაწეობა: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

თმებში ჰალარა შეებარა, მაგრამ იგი კვლავ ჰუმუჯური შემართებით განაგრძობს საყვარელ საქმეს. დიდი დიდებულებმა მისი სცენური ფონდი. მათ შორის საუკეთესო სახეებით იგი დიდძალაქში გასტროლებზე წარსდგა და საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა.

ეს სახეები, რომელნიც მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება, გახლავთ — ნიკო ნიკოლაძე („ნიკო ნიკოლაძე“), ეზოპე („მელო და ყურბანე“), აბრაქუნე („აბრაქუნე“), ბეენა („მე ზეხად შხეს“), ტარიელ გოლუა („ტარიელ გოლუა“). აი ის წამყვანი როლები, რომლებშიც ერთხელ კიდევ გამოვლინდა გ. ებრაელიმის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

გავიხსენოთ ზოგიერთი დეტალი ამ სახეებიდან. ი. ვაქელის ცნობილ კომედიაში „პარაკენე“ მთავარი გმირის იერსახეს იგი მისთვის ჩვეული ოსტატობით ძერწავს. შეჭყურებით რა მის მოჩვენებით, კანდიდებით



## მსახიობის შემოქმედებითი პორტრეტი

მოსილ მოძრაობას, ისმენთ ქედმალღერტ ტრაპასს, ბაქიობას, ყოყოჩერ, ავზორცულ სიფლიდეს და გრანობთ, რომ აპარკუნენ შემთხვევითა კომპოზიციების თემგლდმარჩს პოსტზე. მას გარს მლოქენელთა წრე ახვევია, ვიღაცის მოწყალების კალთას არის ნაწილობილი და ყველდფერი ეს მხოლოდ დროებითი კეთილდღეობის მომტრინა და მეტი არაფერი. ძალდატუნებელი, ზომიერია იგი ყველა მომენტში, — ჩაის მოსაპარავად რაზმავს სოფელს თუ პეკელასა და მარბიანა მოწყობს, კუქურის დევნაში მუზღვატხილი მიესვენება კვარცხლებეს თუ ხვალნდელ ვემგებზე ოცნებაში წასული თავის ზეამიდს ამზერურეს.

მხატვრულად გააზრებული და ცხოვრებისეული სიმართლითა აღბეჭდილი მისი ბეჟანა. აქ მსახიობის გარდასახვის ძალა მართლაც მწვერვალს აღწევს. განცდიფერებს ღრმა განცდებით შეზავებული მეტყველება და გარეგნული იერი, რომლითაც ხაზგასმულია ბეჟანას ადამიანური თვისებანი, ცხადია, მისი მღვთარობით გამოწვეული და განპირობებული. ზოგჯერ შიში გიპყრობს კიდევ, ვი თუ პარტნიორები ვერ ამოუდგენენ მხარში და ჩრდილი არ დაადგეს ამა თუ იმ მიზანსცენასო. ეს უეცე თავისთავალ მეტყველებს სახის მთლიანობაზე და მის მართლ წარმოსახვაზე.

გვახარებს გ. ებრალოძე ეზოებს ტრაგიკულ როლში. ჩვენს წინაშეა ეზოპე — ეს ზეციური ნიჭით დაჭილღობული ადამიანი, რომელიც გარეგნულად მახინჯი და უღამაზოა, მაგრამ შინაგანი ბუნებით მის ირგვლივ ყოფებზე ყველაზე მალა დგას. მას თავისი კუთმახვილობით, გონიერებით იმდენი შეუძლია გაავეთოს, რომ მოხიბლოს უღამაზესი ქალიც კი, რომელიც პირველი შეხვედრისას დასცინობს. ეს ქალია ქსანთის ლამაზი და ამაყი ცილი ლეა, რომელ-

საც თანდათან აღეძვრის ეზოპესადმი გრძნობა და პირდაპირ ეუბნება კიდევ, რომ ამ სურვილს ანგარიში გაუქონოს, თანხმობა მისცეს.

მაგრამ მას არ სწამს და არც სურს ანგარებით სიყვარული, არც მოხვედრებით თავისუფლება და პატივი მიანიჩა რაიმედ. მისთვის მხოლოდ ჭეშმარიტი ადამიანური სიყვით არის საოცნებო იდეალი.

მსახიობი ნათლად გვაგრძნობინებს ეზოპეს ხასიათის ყველა მხარეს, მის ღიჯ, ჭკვიანურ განსას.

შესანიშნავია მსახიობი ტარიელ გოლუას როლში, ამ უპირესად დრამატულ სახეს იგი დიდი შინაგანი შთაოცნებით ძერწავს, სრულყოფილად ავლენს ტარიელის დაკურკაციობას, საერთო საქმისათვის თვადიდებული გეკაციის ხასიათს. ისე ბუნებრივ ტონში მიჰყავს მას ყველა სცენა, გჯერათ ყოველი მისი ნაბიჯი, სიტყვა და მოქმედება.

და ბოლოს, არ შეიძლება მთელი გულით არ მიულოცო მსახიობს წარმატება კ. ქორქიას პიესაში „ნიკო ნიკოლაძე“, სადაც იგი მთა-

ვარ გმირს — ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ნ. ნიკოლაძის მოღვაწის ნ. ნიკოლაძის როლს ასრულებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ფოთმა, სადაც ნ. ნიკოლაძეს დიდი დავალები და ამავე აქვს გაწეული, პირველ სცენურ სიტყვა თქვამა ამ დიდ მოამაგზე. იქისი ავტორია ფოთში აზრბილი მწერალი როლიონ ქორქია.


ეს სახე გ. ებრალოძისათვის კიდევ ახალ მსახიობობო თვისებათა გამოჩვენებას სპირიტუბა და, მისდა სასახლოდ, როლზე მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა. მკაფიოდ და სრულფასოვნადაა გადმოცემული ნ. ნიკოლაძის ღრმა ინტელექტი, ხალხისა და საზოგადოების თავისუფლებისათვის უნაგარი თვადიდება.


— ჩემს შემოქმედებაში, მოკრძალებით ამბობს მსახიობი, — იგი ყველაზე რთულ სახედ მიმჩნია. სირთულე გჯერათ იმაშია, რომ ნიკოლაძე, როგორც პიროვნება და მოღვაწე, დილია, მისი მომსწერნიც ხომ საყვარელ არიან. მეორეც, პირველად მე უნდა გამეჩვენებო ყამირი ამ გზაზე. გულახდილად გეტყვით, რომ ამდენი შრომა არცერთ სახეზე არ გამიწევია. რაც კი შემიძლო ამასთან დაეპირებო ყველაფერს მოვალე თვალი და ყური.

როლისადმი მსახიობის ესოდენ სერიოზული დამოკიდებულება სცენურმა შედეგმა დაადასტურა. მაღალი შეფასება მისცა ამ როლს ყველამ, მათ შორის მაღალი თეატრალური კულტურის მქონე თბილისის საზოგადოებრიობამაც, ხოლო მისი გამარჯვების მუდმივ დასტურად ის დარჩება, რომ ნ. ნიკოლაძის შევილა, პიროვნობა რუსულან ნიკოლაძე გ. ებრალოძეს სამახორი საჩუქარი — მამისეული ქული მიაართვა.

მსახიობი გ. ებრალოძე სრულ შემოქმედებით სიმწიფეშია, მისგან მეტი ახალ სიტყვას, ახალ სინტაქსის სახეებს მოგვლით.

გიგა ებრალოძე სპექტაკლში „აპარკუნენ“





იმპერატორ კარაკალს ბიუსტი ბერლინის მუზეუმშიდან

## ქარაკალს პორტრეტი უკვანისიდან


ქეთევან ჯავახიშვილი

1964 წელს ქარმლის რაიონის ს. ურბნისში, ერთ-ერთი საკარ-  
მდამო ნაკვეთის გადასწორების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა  
ოქროს ყელსაბამი, შემკული შესანიშნავი პორტრეტული გემით. სა-  
ჭირო ცნობების უკონლობის გამო ძნელია დარწმუნებით თქმა, რა  
ხასიათის აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ საკითხის შესახებ  
ერთგვარი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელი ხდება.

ურბნისის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის  
ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა  
1953-1964 წლების განმავლობაში. სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში

გაითხარა ვრცელი სამაროვანი, ძირითადად, გვიანანტიკური ხანი-  
სა<sup>1</sup>. იმის გამო, რომ ექსპედიციას მუშაობა უხდებოდა მჭიდროდ  
დასახლებულ ტერიტორიაზე, სამაროვანის მთლიანად გათხრა ვერ  
მოხერხდა. სწორედ მის გაუთხრელ ნაწილში აღმოჩნდა აღნიშნული  
ყელსაბამი. ეს გარემოება კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ  
მისი სამარხული წარმოშობა.

ყელსაბამი ორი ნაწილისაგან შედგება: გრძელი ძეწკვისა და  
საკმაოდ მოზრდილი, ოვალური მოყვანილობის მედალიონისაგან<sup>2</sup>.  
ძეწკვი შედგენილია წვრილი ორმაგი მავთულისაგან დამზადე-



იმპერატორ კარაკალას პორტრეტი ურბანის ინტალიონზე.

ბული და ერთმანეთში გაყრილი, რეიანის მოყვანილობის ნაწილენებისაგან. იგი ორივე მხარეს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებული პატარა ზომის ცილინდრებით ბოლოდებდა; ცილინდრების ფუძეების გარშემო ძალიან წვრილი, მკრთალად დაჭედული მავთულის თითო სალტე შემოუყვება. თვითუელი ცილინდრი ერთი ფუთით ძეწკვთან არის დაკავშირებული, მეორე ფუძეზე კი ბრტყელი ყუნწი აქვს მიჩრილული. ამ ყუნწების საშუალებით ძეწკვი მედლიონზე მაგრდება<sup>3</sup>.

მედლიონი წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის დიდი ზომის შუკ ამეთვისტოზე ამოკვეთილ გემას — ინტალიონს, ჩასმულს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ ბუდეში. ბუდის ნაპირები ქვის ზედაპირზე ამოდის და ვიწრო, სადა ჩარჩოს სახით გადმოკვეცილია მასზე. ამ ჩარჩოს გარედან შემოუყვება მეორე, უფრო განიერი ჩარჩო. იგი წარმოადგენს ფოთლოვანი ორნამენტით დატვიფრულ ოქროს ფირფიტას, რომელიც ბუდის გარშემოა მიჩრილული. ბუდის გვერდებზე ურთიერთმოპირდაპირე მხარეებზე, ერთმანეთთან მცირე მანძილით დამორებული ორ-ორი ყუნწია მიჩრილული. ძეწკვის ბოლოს არსებული ყუნწი ამ ორ ყუნწს შორის თავსდება და ვერცხლის მანჭკლის საშუალებით მაგრდება მედლიონზე. ბუდის ქვედა ნაწილზე კიდევ, ერთი პატარა ყუნწია მიჩრილული, რომელზედაც,

როგორც ჩანს, რალაც საკიდი უნდა ყოფილიყო დამატებული. ბუდე რამდენადმე დაუდევრად არის დამზადებული: ვიწრო ჩარჩო, რომელიც ქვის ზედაპირზე არის გადმოკვეცილი, ყველგან თანაბარი სივანისა არ არის; განიერი ჩარჩო შმოლოდ ადგილ-ადგილ არის მიჩრილული ბუდეზე, ისე რომ ზოგან ბუდესა და ჩარჩოს შორის მცირე მანძილიც კი არის დარჩენილი მიჩრილების ადგილები არ არის შეღამაზებული და შეიარაღებული თვალისათვ კარგად შეიძინება<sup>4</sup>.

ქვა, რომელიც მედალიონს ამკობს, კარგად არის გათლილი; მის ოდნავ ამობურცულ, შესანიშნავად გაპირალბულ პირზე გამოხატულია რომის იმპერატორი, სევერუსების დინასტიის წარმომადგენელი, მარკ ავრელიუს ანტონინუს პიუსი (211-217 წ. წ.) ისტორიაში ცნობილი კარაკალას სახელით.

სევერუსების დინასტიის მმართველობა (193-217; 222-235 წ.წ.) რომის იმპერიის მწვევატ კროზისის ხანას დაემთხვა. სამოქალაქო ომები, ბრძოლები ტახტის დაუფლებისათვის, იმპერატორების ხშირი ცვლა, პროვინციების გაძლიერება და განდობა — ეს იყო მთელი მონათმფლობელური სისტემის კრიზისი. რომის იმპერატორები ცდილობენ შეაჩერონ ეს კრიზისი და დასაყრდენს არმაში ეძებენ. ხდება ქვეყნის მილიტარზაცია და არმიის სრული გაბატონება, რის შედეგად რომის სენატი კარგავს თავის ყოფილ მნიშვნელობას. იმპერატორი მთლიანად დამოკიდებული ხდება არმიასზე. სევერუსების დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წ. წ.), კარაკალას მამამ, იმპერატორის ხელისუფლება ლეგიონერების დახმარებით ჩაიგდო ხელში 211 წელს. სეპტიმიუსს სევერუსის სიკვდილის შემდეგ, ლეგიონერებმა კარაკალა და მისი უმცროსი ძმა გეტა იმპერატორებად გამოაცხადეს.

რომაელი ისტორიკოსები კარაკალას იხსენიებენ, როგორც ყველაზე სისხლისმღვრელ ტირანს, რომელიც კი ოდესმე ტახტზე მჯდარა. ჯერ კიდევ სეპტიმიუს სევერუსის სიცოცხლეში აშკარად გამოიქვანდა მისი პატივმოყვარეობა და სისასტიკე; ის შეეცადა საკუთარი ხელით მოესწრაფა სიცოცხლე თავისი მამისათვის, რათა ხელში ჩაეგდო იმპერატორის ხელისუფლება, მაგრამ რაკი ეს ვერ მოახერხა, რამდენჯერმე დააპირა არმიის აჯანყება სევერუსის წინააღმდეგ<sup>5</sup>.

სეპტიმიუს სევერუსის სიკვდილის შემდეგ, სულ მალე (212 წ.) კარაკალას დავალებით და უშუალო მონაწილეობით მოკლულ იქნა მისი ძმა და თანამმართველი გეტა. ამას მოჰყვა საშინელი უღებტა არა მარტო გეტას მომხრეებისა, არამედ ყველა იმთათ, ვინც უკმაყოფილო იყო კარაკალას პოლიტიკით. ესენი იყვნენ წარჩინებული გვარისშვილები და სენატორები, რომლებიც კარაკალამ სრულიად ჩამომორჩა სახელმწიფო საქმეებზე. დიონ კასიუსის ცნობით, დასჯილთა რიცხვი 20000 აღწევდა.

ოქროს ექვსსაბამი ბრიტანეთის მეტეოქმიანი (შემცირებული ზომა)





იმპერატორ კარაკალის პორტრეტი ბრინჯაოს მედალზე (ნატურალური ზომა)



იმპერატორ კარაკალის პორტრეტი ინტალიზზე ბრინჯაოს მედალზე (ნატურალური ზომა)

ამავე დროს, კარაკალა ყოველმხრივ ცდილობდა ჯარისკაცების სიყვარული და ნდობა დამსახურებინა, რათა მათი სახით დასაყრდენი ჰქონოდა სახელმწიფოში. კარაკალა — სახელი, რომლითაც იმპერატორი ყველაზე მეტად არის ცნობილი — მან სწორედ ჯარისკაცებისაგან მიიღო, იმის გამო, რომ ატარებდა გრძელ გალურ წამისასხამს — კარაკალუს (caracalus) <sup>6</sup>.


იმპერატორის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელსაც ძველი რომაელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, იყო მისი მანია — მიუბაძა ალექსანდრე მაკედონელისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობით იგი სრულიად არ გაგდა ალექსანდრეს, ცდილობდა თავის დატყურობით, გამოხედვით, ტანისამოსით და საერთო იერიით დამსავსებოდა მას. ალექსანდრეს მიბაძვით, ხალხის წინაშე გამოჩენისას, კარაკალს ხშირად თავი გვერდზე გადახრილი ეჭირა (ალექსანდრეს ეს ბუნებრივი ნაკლის გამო ახასიათებდა) და ცდილობდა მიეღო სახის ნაირსახე გამომეტყველება, რათა ქვეშევრდომთათვის თავისი მზრძანებლური ძალა ეჩვენებინა. უზოგირთ ქვეყანაში, სადაც მისი აზრით, განსაკუთრებით საჭირო იყო ალექსანდრეს როლის თამაში, ის მაკედონურ ტანისამოსში გამოწყობილი გამოჩნდებოდა ხოლმე <sup>7</sup>. ამის შედეგად უნდა იყოს ის, რომ ერთ ცნობილ მედალიონზე კარაკალა შეგვიღია ელინისტური დიადემით, ხოლო რომაელი ისტორიკოსი ჰეროდოანე აღნიშნავს, რომ არსებობდა უცნაური გამოსახულებები, რომლებიც წარმოგვიდგენდნენ ერთ სხეულზე და ერთდამაშვე თავზე ორ სახეს — ალექსანდრესი და კარაკალასი <sup>8</sup>.

ალექსანდრეს მიბაძვით კარაკალა იცნებოდა მთელი აღმოსავლეთის დაპყრობაზე და დაუსრულებელ ბრძოლებს აწარმოებდა სპარსეთის ხელში ჩასაგდებად. 217 წელს, როდესაც კარაკალა თავისი ჯარით მესოპოტამიაში იდგა და მორიგი ბრძოლისათვის ემზადებოდა, მისმა ცენტურიონებმა შეთქმულმა მოაწყვეს და მოკლეს.

ურბნულ ინტალიზზე წარმოდგენილია კარაკალს ბიუსტი, რომელიც მხარს ქვემოთ ქვის მოყვანილობის შესაბამისი ოვალის არის შემოფარებული. გამოხატულება ოვალის ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ არის გადაწვეული და თითქმის მთლიანად ავსებს ქვის ზედაპირს.

იმპერატორი მძლავრი ფიზიკური აღნაგობისა ჩანს. მისი ღონიერი კისერი, ვანიერი მხარ-ბეჭი და თავის მოყვანილობა ჰერაკლეს გამოსახულებებს მოგავიგნებს <sup>9</sup>. ბიუსტი ნახევრად ზურგიდან არის წარმოდგენილი ისე, რომ ჩანს ზურგის ნაწილი და წინ წამოწვეული მარჯვენა მხარი, თავი მკვეთრად მიბრუნებულია მარჯვნივ და სახე მოცემულია პროფილში.

იმპერატორის ბრძეჭში, სასტიკი გამომეტყველება აქვს, წარბ-შეკრიადა. მის შუბლს ორი პორიზონტალური ნაოჭი ჰკვეთს, წარბებს შორის ბრმა ვერტიკალური ნაოჭი ეშვება. საკმაოდ სქელი, თითქმის დაგრეზილი წარბი რელიეფურად არის წარსრულებული; ფართოდ გახედილი თვალის შუგრა სივრცეშია მიმართული, თავა-



ოქროს ცელსაბამი ამფითისტოს გემით ურბნისიდან (ნატურალური ზომა)

ლის ქუთუთობები და თვით თვალიც პლასტიკურად არის გამოხატული: ზევითა ქუთუთო წვრილი რკალით არის გადმოცემული, ქვევითა კი ოდნავ შესაჩხვნი ამაღლებით; ნახევარწრიული რკალი არ არის მოკლებული მოდელირებას. განსაკუთრებული სიფაჭიზითაა მოდელირებული შუბლის ნაოჭები, წარბის ძვალი, ცხვირი და თვალის უბინად ლოყაზე და ყვრიმალზე გადასვლის ადგილები. ერთის შეხედვით შეუმჩნეველი ეს მოდელირება იმდენად სატიტური, რომ სახის ზედაპირს სიცოცხლეს ანიჭებს, სახე მთლად გადატკეცილია და გაპარიალებული.

კარაკალს საკმაოდ მასიური, მაგრამ მოკლე ცხვირი აქვს, მკვეთრად გამოხატული ნესტოთი, მსხვილი ტუჩები და ოდნავ წინ წამოწვეული ჯიუტი ნიკაბი. მიუხედავად იმისა, რომ სახე ძირითადად სადა, დაუნაწევრებელი სიბრტყეებით არის გადმოცემული, იგი თვალის ბაღურას გამოხატავს, თვალის გუგა პატარა მომრგვალებული ფოსილია აღნიშნული.

ლაშაში მოყვანილობის თავი მოკლე, სქელი, ხვეული თმით არის დაფარული. თმა რელიეფური, უწყნაროდ განლაგებული ბურცებებით არის გამოხატული. თითოეული ბურცობი, თავის მხრივ, კი-

დღე დანაწევრებულია პატარა ღარებით; პირიზონტალურად ფარავს შებენს და საფეხქველთან უშუალოდ ყვდვს ურთიდას. პატარა სველი წვერი, აგრეთვე უწინაგოდ წარსაგებულ ღარებისა და ადგილ-ადგილ პატარა ბურცოებით არის გამოსატული. იგი მხოლოდ მიჩარჩობას უკნის სახეს იყ, რომ მის ფორმას არა ფარავს. რელიეფურად შესრულებული, წვერილი, დარგული ძირს დადგებული უფვაში წვერთან არ არის შეერთებული. ნიკაპის წინა ნაწილი თითქმის შეშვობიანია; ყური, რომელიც რადიკალიზაცია გამოიწვევს მოდენებით არ არის შესრულებული, ჩინიფურად დაბოლოებულია თმისა და წვერის ფონზე. თმა და წვერი, რომელიც ისტატს მჭრტა-ლი დაუტოვებია, მათი ხვეული, მოუყვანარი ხაზებით შექმნილი შუქრდილებით კონტრასტულ მიჩარჩობას უკნის გადააკვიცილ-გაპირალებულ სახეს.

ინტალიის კვეთა ყველანა თანაბარი არ არის: თავის ერთიანი მასა ღრმად, თითქმის ნახევარსფერულად არის ამოკვეთილი, რის შემდეგ ცალკეული დეტალები (მაგ. თმა, წვერი, ყური და სხვა) შედარებით დაბალი რელიეფით არის დამუშავებული. საერთოდ კი, მთლიანად, თავის გამომხატველი ყველაზე ხასი არაჩვეულებრივად მკაფიოა და მტკვული.

ინფრატორის თავზე დაფენს ცვირგვინი ავგას. ცვირგვინი ორ რიგად განლაგებული ფურცლებისაგან შედგება და კეფაზე გრძელი ბაზებით არის შეკრული. ფურცლები რამდენადაც სქმატურად არის გამოსატული. ისინი ნაწილობრივ გაპირალებულია და კარვად იკითხება მჭრტადა დატოვებულ იმის ფონზე. ქლამიდა, რო-მელიც იმპერატორის მხრებზე აქვს წაშოსხმული, ახალრამ ნაკვეთად შეშება და მარჯვნივ დიდი ზომის მრგვალი ავარფით იკვრება. ქლამიდის ქვეშ, მხარზე ჯამანი მიჩანს. სამისი რამდენადმე გრა-ფიკულად არის შესრულებული; ნაჭებისა და ჯავნის გამოსატული სქმატურბა იგრძობა, იმპერატორის პოპუკ ვირვარდა უხერხუ-ლია (მარჯვნივ მხარი არაბუნებრივად წინ არის წაშოწული). ჩანს ისტატს არც შეეცადა დასწავლა ეს დეტალები, მთელი მისი ინტერესი იმპერატორის სახეზეა კონცენტრირებული.

პორტრეტო ძალიან ინდივიდუალურია და დამახასიათებელი, ფორმების ყუფილგვარ განსჯადებასა და იდეალისაიყავს ულაპ-არაკი კი ხედავდება; კიდევ მეტი, მოყვარი, რამაც განსაზღვრა პორ-ტრეტისას ხასიათი, ის არის, რომ ცალკეული ნაკვების რეალისტურ-ად გადმოხატოსთან ერთად, ისტატმა შესძლია პიროვნების ფსიქო-ლოგიური დახასიათება: შეურთილი წარბები, წინ წაშოწული ღო-ნიერი ნიკაპი მასიური ცხვირის გაბერილი ნესტო და მრისხანე გამოსხვდა ნათლად გვიხატავს სისასტატივად და ბოროტებით ავლავს, დაუნდობელი ადამიანის სახეს, ეს ისტატური დახასია-თება არა მარტო ერთი პიროვნებისა, არამედ მთელი იმ ეპოქისა, რომლის „ღირსეული“ წარმომადგენელი იყო იმპერატორი კარა-კალა<sup>19</sup>.

ასეთი პორტრეტო, მეტისმეტად რეალისტური, ექსპრესიული და ამავე დროს ღრმად ფსიქოლოგიური შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ III ხ. I ნახევარში, რომელ მონუმენტურ ხელოვნებაში რეალისტური პორტრეტის აყვავების ხანაში<sup>11</sup>. III ხ. I ნახევარში, რომის იმპერატორისათვის ამ მშოფოვებურ ხანაში, როცა მთელ ქვეყნ-ვაში ძალმომრებობა სუფევდა და იმპერატორის ხელისუფლება ხე-ლიდან ხელში გადადიოდა, როცა თვით ეპოქამ მოითხოვა ხელო-ვნისაგან ყუფილგვარი გაიადლებების გარეშე, რეალისტურად აესახა პიროვნების ინდივიდუალური თვისებები, მისი ენერჯია და უხეში ძალა.

რაც შეეხება გლიპტიკურ პორტრეტს, III ხ. I ნახევარში ისიც სათანადო სიმაღლეზე დგას<sup>12</sup>. ურბინში აღმოჩენილი შესანიშნავი ინტალიო ამ ხანის ქვეზე ამოკრილი პორტრეტული ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

კარაკალას პორტრეტები დიდი რაოდენობით არის შემორჩენი-ლი, როგორც მჭირვე ისე მონუმენტურ ხელოვნების ძეგლებში. უკვე

198 წლიდან, მას შემდეგ რაც კარაკალამ ავეუსტის ტიტული მიი-<sup>13</sup>წი-  
ლო, ჩნდება მისი ბიუსტები და გამოსატული მონეტები<sup>14</sup>. მდელზე  
მდელზე და გვეგზე ის რომ მისი სახის სავალებისა და გამო-  
მეტყველების ჩამოყალიბებას შეიძლება თვლი გაგაფვენით  
10 წლის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე.

გლიპტიკურ ძეგლებზე კარაკალას გამოსატულენი არ არის მზავალიცხოვანი. ადრეულ პორტრეტებზე ის ჯერ კიდევ უწვერ-  
ულავით ჭაბუკია. მაგ., სარდონის ინტალიოზე სასლურული ერთ-  
მეტყველება<sup>15</sup>. (ინტალიოზე გამოსატულია სტატიმუს სვერუსი და  
მისი ორი შვილი, კარაკალა და გეტა) და სარდონისის ორ კამეაზე  
პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან (ერთზე გამოსატულია სე-  
ტიმიუს სვერუსი თავისი ოჯახისა<sup>16</sup>, მეორეზე მხოლოდ კარაკალა  
ბიუსტი)<sup>17</sup>. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში დაცული სარ-  
დონის ინტალიოზე (რომელზედაც გამოსატულია სტატიმუს  
სვერუსი თავისი ოჯახით) კარაკალა უკვე წვერულავიანი ასალ-  
გაზრდა კაცია<sup>18</sup>. ამ პორტრეტზე, მართალია, ჯერ კიდევ სუსტად,  
მაგრამ მაინც შეიმჩნევა ის მრისხანე გამომეტყველება, რომელიც  
შემდგომი მისი პორტრეტების ერთ-ერთ განსაზღვრულ თვისებად  
ქცა.

ურბინის გემაზე გამოსატულია უკვე ზრდადასრულებული,  
ჩამოყალიბებული ასალგაზრდა კაცის პორტრეტი, რომელიც, უნდა  
ვიფიქროთ, კარაკალას სიცოცხლის უკანასკნელ წლებშია შექმნილი.  
დაახლოებით ამ ხანის პორტრეტებში გამოსატულია მხოლოდ  
ერთმეტყველი დაცული სარდონისის კამეაზე<sup>19</sup> და ორ ინტალიოზე ბრი-  
ტანეთის მუზეუმშიდან.


ერთმეტყველი პორტრეტი მხატვრული თვალსაზრისით მეტისმეტად  
მდრავა და ბევრად ჩამოუვარდება ურბნულს. იგივე შეიძლება ითქვას  
ბრიტანეთის მუზეუმის სარდონისის ინტალიოზე გამოსატული  
პორტრეტის შესახებაც<sup>20</sup>. შესრულების მანერითაც ირივე ეს პორ-  
ტრეტი ურბნლისაგან სრულიად განსხვავებულია.

სტალიო და ცალკეული დეტალების დამუშავების მანერით  
ურბნული პორტრეტი ყველაზე ახლოს ბრიტანეთის მუზეუმში და-  
ცულ იმების ინტალიოზე გამოსატულ პორტრეტთან დგას<sup>21</sup>, მაგ-  
რამ ეს უკანასკნელი მოკლებულია გამომეტყველების იმ ძალას  
და ექსპრესიულობას, რომელიც ურბნულ პორტრეტს ასახავს. იგივე  
შეიძლება ითქვას იმენტებზე<sup>22</sup> და მდელზეზე<sup>23</sup>. გამოსატულ კარა-  
კალას მრავალრიცხოვანი პორტრეტების შესახებაც. ყველა ამ პორ-  
ტრეტში მეტ-ნაკლებად ზუსტად მორიდება იმპერატორის სახის  
ნაკვეთი, თმის ვარცხნილობა, ტანისამოხი, პოხა და სხვა, მაგრამ  
საკუთესო ცალგეზე მხოლოდ გარეგნული მსგავსება არის გამო-  
ხატული და სრულიად არ არის გადმოცემული იმპერატორის სული-  
ერი განწყობილება.

თავისი ექსპრესიულობით, გამომეტყველების ძალითა და ფსი-  
ქოლოგიურობით ურბნული პორტრეტი შეიძლება შევადაროთ მონე-  
უმტურის ხელოვნების ისეთ ძეგლებს, როგორც არის კარაკალას  
ცნობილი ბიუსტი ბერლინის მუზეუმშიდან, ბიუსტები ვატკანის მუ-  
ზეუმშიდან, კოქინაუნის ნიუკარლსმერგის გრაპტოტიკები<sup>24</sup> და სხვა.  
კარაკალას მრავალრიცხოვანი გამოსატულები მონეტებში სა-  
შუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად დავაიაროთ მისი პორტ-  
რეტები.

ზრდადასრულებული, წვერულავიანი კარაკალას გამოსატულე-  
ბები მონეტად მხოლოდ 209 წლის მონეტებში ჩნდება<sup>25</sup> (208  
წლის მონეტებზე ის ჯერ კიდევ უწვერულავით ჭაბუკია<sup>26</sup>). 217  
წლის შემდეგ (ე. ი. კარაკალას მოკვლის შემდეგ) საეკვპოა, რომ  
საძელოებო ტრანის პორტრეტებით კიდევ ვინმე დაინტერესებუ-  
ლიყო. ამგვარად უნდა ვიფიქროთ, რომ კარაკალას ურბნული პორტ-  
რეტი 209-217 წლებში მისი არის შექმნილი.

III ხ. პირველ ნახევარშივე უნდა იყოს დამზადებული მთლიან-  
ად ყველასაბოლო. ურბნული შედარების მსგავსი ფოთლოვანი ორ-  
მანმეტად დატვირთული ჩარჩოები ამ ხანაში საკმაოდ გავრცელებ-  
ული ჩანს. ასე მაგ., 1818 წელს ევრონის მახლობლად სან-პიტრუ-  
ესკანანაში გათხრობი სამარხში აღმოჩენილი მდელაიონი, რომე-



ლიც კარაკალს მონეტის მიხედვით III ს. პირველი ნახევრით არის დათარიღებული<sup>1</sup>. კოსტოლკეში (ვიზანტიკეში) აღმოჩენილი ასეთივე მედალიონი დათარიღებულია 230-იანი წლებით (მედალიონი შემკულია კამეით, რომელზედაც გამოსახულია იმპერატორი ალექსანდრე დიკლეული და მისი ვეფა იულია მამეა<sup>2</sup>); ბრიტანეთის მუზეუმში დაცული მედალიონი, რომელზეც ალექსანდრე სევერუსის მონეტა აყვობს, დათარიღებულია III საუკუნით (ამ უკანასკნელს ძველეს სრულიად ისეთი აქვს, როგორც ურბნულ ყელსაბამს, სურ. 7)<sup>3</sup>.

შვავსი მოჩარჩობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ს. ურგეში აღმოჩენილ აგრავსაზე, რომელიც III ს. ბოლო წლებითა და IV ს. დასაწყისით არის დათარიღებული<sup>4</sup>.

რაც შეეხება ურბნული ძეგლის შვავსი რეიანის ფორმის ნაწილებსაგან შედგენილ ძეგლებს, ისინი რომელიც თქონიშველიობისათვის არის დამახასიათებელი და ძალიან გავრცელებულია I-III სს.<sup>5</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ურბნულ ყელსაბამი და გვახ, რომელიც მის აყვობს, თანადროული უნდა იყოს.

იმპერატორის პორტრეტებით, ან მისი ატრიბუტებით შემკული მედალიონები პირველად ავგვსტის ეპიკოში (276 წ. ძვ. წ. — 14 წ. წ. წ.) განჩადა<sup>6</sup>, განსაკუთრებით კი გახშირდა III — ს-ში<sup>7</sup>, დიდი სიყვარულით სარგებლობდა მედალიონები შემკული ვერცხლის ან თურის მონეტით ან დისკით, რომელზედაც იმპერატორის ან მის ცოლის პორტრეტი იყო გამოსახული<sup>8</sup>. პორტრეტული გემით შემკული მედალიონები შედარებით იშვიათია<sup>9</sup>. უნდა ვიფიქროთ, ისინი უფრო მეტად ფასობდა და მხოლოდ შეძლებული წრის წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი.

ამდენად იმპერატორის პორტრეტული გემით შემკული მედალიონის აღმოჩენა ს. ურბნისში საყურადღებო ფაქტია. თანამედროვე ს. ურბნისის ტერიტორიაზე მდებარე ანტიკური კალაქი ურბნისი იბერიის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვან საეკონომიკურ-კომერციულ ცენტრს წარმოადგენდა. ის დიდ საეკონომიკურ-საბრუნველ გზაზე მდებარეობდა და ანტიკურად იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო ვაჭრობა-სა<sup>10</sup>. ურბნისის ტერიტორიაზე შესანიშნავი იმპორტული ყელსაბამის აღმოჩენა, ერთის მხრივ, ნაჩვენებელია მისანობის გარკვეული ფენის მაღალი კულტურული და მატერიალური დონის, მეორე მხრივ, კიდევ ერთი დამატკიცებელი საბუთია იმ მჭიდრო საეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობისა, რომელიც არსებობდა იბერიის სამეფოსა და ანტიკურ სამყაროს შორის<sup>11</sup>.

შ ბ ნ ი შ ვ ა ნ ი ბ ი:

<sup>1</sup> დ. ჭორიძე, ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი გვიანდანიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის (ბულნაურ-ი) 33, I.  
<sup>2</sup> ძეგლის სიგრძე უდრის 55 სმ.; მედალიონის სიგრძე — 3,3 სმ., სიგანე — 2,5 სმ.; სიმაღლე — 0,6 სმ. ინტალიოს სიგრძე — 2,8 სმ., სიგანე — 2 სმ.  
<sup>3</sup> ძეგლი ორ ადგილს გარკვევითაა და, როგორც ჩანს, ძველადვე ყოფილა შეგუბუნებული; ერთ-ერთი ცილიზირებული და დღემდე შემორჩენილია.  
<sup>4</sup> მედალიონი ზურვის მხრიდან ჩაკლებულია და გატეხილი. სიგრძე ქვასა და მედალიონის ძირს შორის ამოცხვებულია თფორი პასტიკსებური მასით.  
<sup>5</sup> J. J. Bernoulli, Romische Ikonographie, Stuttgart, Berlin, Leipzig,

1894, Zweiter Teil, III, გვ. 48. A. Mongez, Iconographie Ancienne, Paris, MDCCCXXVI, Tome troisième, second partie, გვ. 151 — 152.  
<sup>6</sup> A. Mongez, დასახ. ნაშრ., გვ. 158.  
<sup>7</sup> I. J. Bernoulli, დასახ. ნაშრ., გვ. 48-49.  
<sup>8</sup> J. Babelon, Les portrait dans l'antiquité, Payot, Paris, 1950, გვ. 130 — 131.  
<sup>9</sup> H. B. Walters, Catalogue of the engraved gems and cameos, London, 1926, გვ. 1880, 1892, 1902.  
<sup>10</sup> Г. Соколов, Античная скульптура, Рим, Москва, 1965, стр. 8.  
<sup>11</sup> О. Ф. Вальдгауэр, Римская портретная скульптура в Эрмитаже, Петербург, 1923, стр. 75, 76. J. J. Bernoulli, დასახ. ნაშრ., გვ. 59; J. Babelon, დასახ. ნაშრ., გვ. 130.  
<sup>12</sup> М. И. Максимова, Античные резные камни Эрмитажа, Ленинград, 1926 г., гл. 71, A. Furtwängler, Die Antiken Gemmen, Leipzig, Berlin, MCM, III, 3, გვ. 363.  
<sup>13</sup> ეროვნულ მუზეუმს კარაკალს ვინაობს შემდეგები 196-197 წ. წ. მონეტების კვლევა იხ. N. Mattingly, coin of the Roman Empir, London, 1950, ტაბ. 19, გვ. 15, 16.  
<sup>14</sup> М. И. Максимова, Резные камни Эрмитажа, Ленинград, 1926, стр. 87.  
<sup>15</sup> E. Babelon, Catalogue des camées antique et moderne de la Bibliothéque National, Paris, 1897, ტაბ. XXXIV, გამ. 300.  
<sup>16</sup> იქვე, ტაბ. XXIV, გამ. 302.  
<sup>17</sup> G. Richter, Catalogue of the engraved gems, Roma, 1956, ტაბ. X, გამ. 497.  
<sup>18</sup> М. И. Максимова, დასახ. ნაშრ.; გვ. 100; სახელწ. ერიტიკეში დიკლეოს ინტალიოს ანაბეტი და კანის ფოტო გამოგვიგზავნა გლობატის ფუნდის მეშვეობა მ. პ. ვაულენმა, როსიეთის დიდ მატელოს მოვასხეზე.  
<sup>19</sup> H. B. Walters, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXV, გამ. 2026.  
<sup>20</sup> H. B. Walters, დასახ. ნაშრობი, ტაბ. XXV, გამ. 2024.  
<sup>21</sup> H. Mattingly, დასახ. ნაშრ., ტაბ. 75, გამ. 1, 2, 7, 8, გამ. 76, გამ. I-II და შემდეგ.  
<sup>22</sup> A. Mongez, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLIX, გამ. 4, 5. F. Grecchi, I. medaglioni romani, III, Milano, 1912, ტაბ. 152, გამ. 10.  
<sup>23</sup> I. J. Bernoulli, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXV, 2026.  
<sup>24</sup> იქვე.  
<sup>25</sup> G. I. Sokolov, დასახ. ნაშრ., გამ. 59.  
<sup>26</sup> Mattingly, დასახ. ნაშრ., ტაბ. 53, გამ. 5, 6, 7, 8.  
<sup>27</sup> იქვე, ტაბ. 42, გამ. 7, 8, 9, 10.  
<sup>28</sup> თემატიკისათვის ცნობა რომ იმპერატორმა მაკრინოსმა (217-218 წ. წ.) კარაკალს დიდი პატივით დარქვა და ბიძანა, მისი ქანდაკების აღმოჩენა, მაგრამ ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მაკრინი თვითონ იყო კარაკალს წინააღმდეგ. მეორე მომწიფი და მისი სიყვარულის შემდეგ უნდა იტყობოდა იგივე მიზეზებისაგან, როგორც შორის კარაკალს მომხრეები შეედა (დასახ. ნაშრ., გვ. 50).  
<sup>29</sup> F. Eichler und E. Kris, Die Kamen in Kunsthistorischen Museum, Wien, 1927, ტაბ. 16, გამ. 42.  
<sup>30</sup> F. Eichler und E. Kris, დასახ. ნაშრ., ტაბ. 16, გამ. 77.  
<sup>31</sup> F. H. Marshall, Catalogue of the jewellery, London, 1911, ტაბ. LIX, გამ. 2727.  
<sup>32</sup> ა. აღევიძე, გვიანდანიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე XIV — B, თბილისი 1947, სურ. 8, 9, 17.  
<sup>33</sup> F. H. Marshall დასახ. ნაშრ., გვ. XLIV, ტაბ. LIX, გამ. 2727 ტაბ. LX, გამ. 2741 ტაბ. LXI, გამ. 2746 და სხვა.  
<sup>34</sup> Н. В. Пятнишова, Ювелирные изделия Херсонеса, Москва, 1956, гл. 58.  
<sup>35</sup> E. Coche de la Fetré, Les bijoux antiques, Paris, 1956, гл. 92.  
<sup>36</sup> F. H. Marshall, დასახ. ნაშრობი, გვ. XLVII, ტაბ. LIX, გამ. 2727, 2735, E. Coche de la Fetré, დასახ. ნაშრ., გვ. 92 ტაბ. XLIII, გამ. 4, 5, II, B. Пятнишова, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 58, გამ. 18a.  
<sup>37</sup> F. Fieher und E. Kris, დასახ. ნაშრ., ტაბ. 16, გამ. 77, М. И. Максимова, დასახ. ნაშრ., გვ. 100.  
<sup>38</sup> დ. ჭორიძე, ნაქაწილი ურბნისი, თბილისი, 1964, გვ. 142-147.  
<sup>39</sup> О. Л. Лордანიанидзе, Ремесленное производство и торговля в Мхета в I—III в. в. н. э., Труды Тбилисского государственного университета, 65, Тбилиси, 1957, стр. 135 и т. д. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 439 и т. д.



ანამედროვე ქალაქგეგმარებაში რეკონსტრუქციის წარმოებში ს მრავალი მაგალითი და დიდი გამოცდილება მოიპოვება. ჩვენში მეტი წილი ცდებისა უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ცალკეულ ნაგებობათა შეცვლით, რესტავრაციით, ან რაც უფრო ხშირია, მაგისტრალების ფასადური მოწყობით და ტრანსპორტის პრობლემების გადაჭრით განისაზღვრება.

თანამედროვე, კომპლექსური რეკონსტრუქციის ნიმუშები, როდესაც კვარტალის, უბნის თუ რაიონის სპეციფიკა მთლიანად არის გათვალისწინებული, შედარებით ცოტაა. ამ საკითხთა ირგვლივ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ აქ შევხვებით მხოლოდ მსხვილი ქალაქების, და კერძოდ თბილისის ისტორიული რაიონების რეკონსტრუქციის ზოგიერთ საკითხს.

თანამედროვე ქალაქებში ძველი რაიონების არსებობა ქალაქის ძვირფასი ღირსებაა. ციხეები და კოშკები, ტაძრები და გალანები არა მარტო „დამახასიათებელ ევოლუციურ იერს“ აძლევენ ქალაქს, არამედ ქალაქის ისტორიას, ხალხის შემოქმედებით გვიან ასახავენ.

ერთ-ერთი ასეთი ქალაქთაგანია თბილისი, რომელმაც თავისი არსებობის ათას ხუთასი წლის მანძილზე ბევრი რამ განიცადა. დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევების გამო ხუროთმოძღვრული ძეგლების მხოლოდ მცირე რაოდენობა შემოგვრჩა და ისიც მეტწილად საკულტო ხასიათისაა.

ქალაქს არ შერჩა ადრინდელი ნაგებობანი — კოშკი-სახლები, ტაძრები და სასახლეები... არც მოგვიანო პერიოდის ძეგლებს ზედა უკეთესი ბედი. 1795 წ. ალა-მამად ხანის შემოსევამ მიიღო დიდი დასავა საქართველოს და კერძოდ თბილისს. სტიქიურად ვითარდებოდა ძველი რაიონები XIX საუკუნის მეორე ნახევარში. გაჩნდა შემთხვევითი თბილქები, რომლებიც ჩქმალავდნენ ისტორიულად შექმნილ ანსამბლს, უკარგავდნენ მას თავისებურებას. მიუხედავად ამისა, ქალაქის ძველმა რაიონმა მანც შეინარჩუნა არქიტექტურულ-დაგეგმარებითი მთლიანობა და ამ მხრივ ერთ-ერთ სა-ნიმუშო მაგალითს წარმოადგენს.

ადრეფეოდალური ხანის ძეგლები — გალანების ნანგრევები, განაშენიანების ცალკეული ფრაგმენტები ნარიყალა-კალასა და აგლაბარ-ისნის მიდამოებში, მომდევნო პერიოდის ძეგლებთან ერთად, ქმნიან ერთ მთლიან განუმეორებელ ანსამბლს.


საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრის ძველთა დაცვის სამსახურთვლილ დიდ მუშაობას ატარებს. ბევრი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნეს ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერებმა ქალაქის ისტორიული რაიონის ჩამოყალიბებას და განვითარებას. კარგად არის დაცული ამ ძველთა წერილობითი დოკუმენტები, რუკა-გეგმები. ფერწერულ ნაწარმოებებში, გრაფიურებში, გასული საუკუნის მრავალ ფოტოსურათში წარმოსახული ეს ძეგლები. განსაკუთრებული მასალა დაგროვდა ცალკეული კვანძების პროექტების სახით. ეს მასალები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ქალაქის ისტორიული რაიონების რეკონსტრუქციის დროს, მისი წარმატებით ჩატარებით.

# გეგმარებითი კულტურის

ური სართანი

თბილისის განაშენიანების თანამედროვე პრაქტიკაში გვხვდება ცალკეული ისტორიული ძეგლების, ფრაგმენტების რეკონსტრუქციის, რესტავრაციისა და მცირედ — ცალკეული უბნის კომპლექსური რეკონსტრუქციის მაგალითები.

მტკვრის მარცხენა ციცაბო კლდეზე აღმოჩენილი მეტეის ტაძარი — დღის-მომზღის გუმბათიანი ეკლესია აიგო 1278 — 1289 წ. წ. მეფე დიმიტრის მიერ. მეფე ვახტანგ V, მანსაფაზად წოდებულმა, ეს ქრისტიანული ტაძარი 1661 წელს თოფ-



# თბილისის ქალაქს

მეტების ტაძრის ტერიტორია ციხე-საბყრობილად აქცია, სხვადასხვა დროს მიაშენა და ჩააშენა ტლანქ ნაგებობათა კომპლექსი, მოკლებული რაიმე არქიტექტურულ მნიშვნელობას, კომპოზიციურად წამყვანი როლის გამოვლენებას.

ამგანად მეტების ტაძარმა ჩამოიცილა წარსულის დამწა — შავი ლაქები. აქ, მის პლატოზე, ციყაბო კლდეზე აღინათა თბილისის დაზარსების — ვახტანგ გორგასლის ძეგლი. ამ პლატოს ციყაბო კლდე შემოსილ იქნა ბაზალტის წყობით. ვიწროობით, უფრო სასურველი იქნებოდა მეტად შენარჩუნებულიყო კლდის ადრინდელი ბუნებრივი სახე, თავისი ისტორიული ფრავ. მეტეგებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის სახურავის კანოპიებისა და გუმბათის შემოსავა ქვის ფილებით უფრო დამახასიათებელია XIII საუკუნის ძეგლისათვის, ვიდრე თუნუქი, რომელიც ამგანად არის გადასურული ტაძარი. ასეთი ხერხით, ჩვენი ზრით, უფრო ცვიზომიერ და მხატვრულ ეფექტს მივაღწევდით.

ამ კომპლექსში ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნაგებობაა ციხე-ქალაქი — კალა-ნარიალა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა (V საუკუნის მეორე ნახევარი) და რომელიც ყველაზე ძვირფას ძეგლს წარმოადგენს. აქ, კლდის ფრავმეტეგებში და წყობაში ასახულია გარდასული ხანის სამშენებლო ხელოვნება. მისი ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი ამგანად ყველაზე დაზიანებულია, შედარებით უფრო კარგადაა შემონახული ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე. აქ ჩატარებულმა რეკონსტრუქციის სამუშაოებმა ხელი შეუწყო მის უფრო კარგად აღქმას.

რატომაც, ბოლო დროს, ამ შესანიშნავ ძეგლს „ჩრდილავენ“ ახალი ნაგებობებით. მხედველობაში გვაქვს ბალნეოლოგიური კურორტის ახალი მრავალსართულიანი კორპუსი, რომელიც თავისთავად კარგად არის გადაწყვეტილი, მაგრამ თბილისში ბაქო-ერენის გზით თუ აეროპორტიდან მომავალი სტუმრები მოლიანობაში ვერ აღიქმებენ ამ ისტორიულ კომპლექსს. ნარიყალა მთელი თავისი ისტორიული ღირსებებით კი არ უნდა დაფაროთ თანამედროვე მშენებელი, არამედ, პირვეტი, აღვადგინოთ იმ სახით მაინც, რა სახითაც ვიცინობთ მას ტურნეფორის თუ სხვათა გავრცელებიდან.

საავალი მდგომარეობაშია აგრეთვე სხვა ადრინდელი ხუროთმოძღვრული ისტორიული ძეგლები, როგორც არის, „ლურჯი მონასტერი“ (წ. ნიკოლაძის ქ. № 1), თამარისკული XII საუკუნის დაწლვის გუმბათიანი გეგმისა, რომელმაც ჩვენ დრომდე ბევრი გადაკეთება განიცადა. „ლურჯი მონასტერი“ იმითმ შეურქმევიათ, რომ მისი გუმბათი და სახურავი თავდაპირველად

მოჭიქული ლურჯი ფერის კრამიტით. ყურადღებას ღირს გადასურული. თანამედროვე სახე ამ მონასტრის მიღებული აქვს წარსული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც მონსა მისი რეკონსტრუქცია და ძირფესვიანად შეიცვალა ზედა ნაწილი, გადახურვა, გუმბათი. ასეთი რეკონსტრუქციისათვის მისი მშენებელი თუ ხუროთმოძღვარი უდგაოდ მადლობის ღირსია — ამ უნიკალურ ძეგლს შეუნარჩუნა ადგილმდებარეობა, ადრინდელი იერი, ქვედა ნაწილის ფრავმეტეგები. სამწუხაროა, რომ ხუროთმოძღვარმა რესტავრაციის დროს არ გაითვალისწინა თამარისკული საკართელოში არსებული ძატრების ბუნება და „ლურჯი-მონასტრის“ უფრო სრულყოფილი სახე არ მოგვცა.

მაღლიერბას ვერ იმსახურებს აღმშენებელი „ლურჯი მონასტრის“ სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პრეტენსიული ფრავდორსული გეგმისისა, რომელიც თავისი გუმბათებით და საერთო მოცულობით მოლიანად ფრავს „ლურჯი მონასტრის“ სამხრეთ-დასავლეთ მხარეს.

ეს ყოველივე წარსულს ეხება, მაგრამ საყვერველი ის არის, რომ დღეს, როცა ასე ბევრი კოდება ჩვენი კულტურის ძეგლების დასაცავად და მის გამოსავლიანებად, „ლურჯ მონასტრის“ მოუშენდა მალაქი, „დამჩრდილაღვი“ საცხოვრებელი სახლი. ადრე მონასტრის აღქმა შეიძლება და თბილისის ყველა წერტილიდან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მომხიბვლელი იქნებოდა იგი თავისი ლურჯი სახურავითა და გუმბათით, მამადავითის მოსისა და ცის ლეყაროდგან ფონზე.

ქალაქის მომავალი რეკონსტრუქციის დროს ამ უნიკალურ ძეგლს ახლებური და ღირსეული ყურადღება უნდა მიექცეს. „ლურჯი მონასტრის“ ქვედა ნაწილის — გეგმის ღრმა მეცნიერული ანალიზით და იმდროინდელი ძეგლების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღდგენილ იქნას ზედა კედლების წყობა და გადახურვა შესატყვისი დეტალებით, სახურავს და გუმბათის მიექვს მისი ადრინდელი მოჭიქული ლურჯი კრამიტის სახე, რომლის ფორმა და აღნაგობა ცნობილია სხვა იმდროინდელი ძეგლების გადასურვის მაგალითებით.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს „ლურჯი მონასტრის“ ადგილმდებარეობასა და გარემოს. არ უნდა დაივიწყოთ, რომ იგი თამარისკულ-რუსთაველისკული ძეგლია. არც ის იქნება სწორი, რომ მის გვერდით აშართული გეგმისა დავანეროთ. ისიც უნდა შემოვიწინოთ, მაგრამ არა, „ფარდისა“ და „დამჩრდილაღვის“ როლი, არამედ როგორც განსაზღვრული ტიპის მშენებლობის მაგალითი. რუსული გეგმისა მისთვის შესაფერ ადგორულ უნდა გადაადგილოდეს და წესრიგში იქნას მოყვანილი. გავიხსენოთ, თუ როგორ გადაადგილეს წითელი ხაზიდან გორკის ქუჩაზე მის-

წამლის საწყობად გადააქცია. ირაკლი ნაზარსანმა (1689 წ.) ცნო რა საპრსეთის მფარველობა, გადასცა მათ ციხე-ტაძარი, რომელსაც კვლავ იმავე მიზნით იყენებდნენ. ერეკლე II განდგენა საპრსელები და განაახლა მეტეგების გეგმისა. აღა-მაჰმად ხანის დროს მეტეგნი ისევ დარბეულ იქნა. დაღვეანდელი სახით იგი აღადგინა სამეფო ტახტის უკანასკნელმა მპყრობელმა გიორგი XIII.

შედგომ პერიოდში, ცარიზმმა კოლონიალიზმის განსამტკიცებლად კავკასიაში,





კოვის საქალაქო საბჭოს მრავალსართულიანი შენობა. მსგავსი მავალითების მოტანა ბევრი სხვა ქალაქის არქიტექტიკიდანაც შეიძლება. ქალაქგეგმარებითი ხუროთმოძღვრული ხერხებით უნდა გაეთავისუფლო სხვადასხვა შემთხვევითი „ფარდებისაგან“ და დავებრუნოთ ადრინდელი სახე ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორცაა ანჩისხატი და სიონი. ეს პრეწინაულ ისტორიული ნაგებობები დღეს ახლებურად უნდა ჩაერთონ და ამტკველდნენ თანამედროვე თბილისის ანსამბლი.

რეკონსტრუქციის კარგ მაგალითს წარმოადგენს ქაშვეთის ტაძრის და ყოფილი ვაჟთა გიმნაზიის (პირველი საშუალო სკოლის) წინ წარმოებული კეთილმოწყობის სამუშაოები. მათ ჩამოეცალათ დამრღილავი ერთსართულიანი ნაგებობანი. ახალმა სკვერებმა და ხელების გასწვამ ახალი მხატვრული ქალაქგეგმარებითი ღირსება შემატა რუსთაველის გამზირი.

„აბანოების უბანში“ ჩატარებულმა სამუშაოებმაც უფრო მკვეთრად გამოავლინა ჩვენი ისტორიული ქალაქის განძი — ნარიყალას ციხე-კოშკები, მეტეხის ტაძარი და მის გასწვრივ ციყაბო კლდეზე განლაგებული ძველი საცხოვრებელი ანსამბლი.

1959-60 წელს მოხდა ამ ანსამბლის კომპლექსური რეკონსტრუქცია, რომელმაც მოიცვა 500-600 მეტრის განშლა. მეტეხის ტაძრის-ინის კიდულის სწვრივად მოწყობიდა განაშენიანება, ძირითად ნაგებობებს არსებითად ჩამოსცილდა ხელისშემშლელი შემთხვევითი მონაშენები, ულაზათო

ფარდულები, სამეურნეო დანიშნულების სადგომები. რაც მოაგარია, მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; მოეწყო ეზოები, მიულრავ სახლებში მოწყობიდა შიდა დაგეგმარება, გაკეთდა შიდა კიბეები, გასწორდა თიხების ფორმა, ზოგიერთი სახლის მიზინდრებმა მიიღეს დამატებითი ფართი ახლად მიშენებულ აივნების და შუშაბანდების სახით, თუმცა უბნის სრული კეთილმოწყობის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ისტორიული რაიონის კომპლექსური რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი პირობაა ერთი მილიანი პროექტის შედგენა, რაც გამოირიცხავს შემთხვევითი შენობების აგებას რაიონში და საერთო მასშტაბის უგულვებელყოფას. ერთ-ერთ ძირითად პირობებსაა წარმოდგენა აგრეთვე არსებული მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების გამოვლინება ქალაქის სტრუქტურაში. ამ ასპექტში საყურადღებოა გვიანდელი საკულტო თუ სხვა დანიშნულების ნაგებობანი, რომელნიც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახეით ხელფონების და ძეგლთა დაცვის სამმართველოს სიაში არ ირიცხება.

ზანერძლივი ისტორიის მანძილზე თბილისში სხვადასხვა ეროვნების ხალხმა მოიყარა თავი. მათ თავიანთი კულტურა და დარელობა გააჩნდათ. ააგეს ეროვნული ნაგებობანი, რომლებმაც მთლიან ანსამბლში თავისებური კოლორიტი შექმნა სლოლაკის, მამადავითისა და მახათას მთების

ფონზე. ეს თავისებურება, კოლორიტი მსატორიული თბილისის ფრაგმენტს აგრეთვე სათუთი დაცვის ღირსია. თბილისის ეს თავისებურებანი კარგად აქვთ ასახული ჩვენ მხატვრებს, მუსიკოსებს, პოეტებს...

ჩვენმა ხუროთმოძღვრებმა — თავისი პოეტური დანტაზიით, სიყვარულით — ძველი თბილისის ქუჩებიდან, მეტეხიდან თუ ნარიყალადან უნდა ამოვიფიქროს წმინდა აღმასები და შემოუხაზონ მომავალ თაობას. თბილისის ისტორიული რაიონები უნდა იყოს ქალაქის ცოცხალი ნაწილი, დაფუნებული თანამედროვე ქალაქმშენებლობის, სანიტარულ-ჰიგიენურ, ტექნიკურ-კონსტრუქციულ და მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ პროგრესულ პრინციპებზე. ახალი თანამედროვე ნაგებობები ორგანულად უნდა ერწყმოდნენ ისტორიულად გამოშუშავებულ თბილისურ სტრულს. — მსოლიდ მაშინ ჩვენი ხუროთმოძღვრების ნაწარმოებები იქცევიან ქართულად, ამოვლდებიან სუფთა თბილისურ ფერებსა და ჰანებზე. მსოლიდ მაშინ ექნება ყოველ ოსტატს-ხუროთმოძღვარს თავისი ინდივიდუალიზა.

ამ დიდ საქმეში, ძველი თბილისური უბნების ყოფნა-არყოფნის საკითხში უნდა ვერიდოთ ვოლუნტარიზმს. საკითხები უნდა წყვებოდეს თეორიისა და პრაქტიკის ფართო ანალიზის საფუძველზე, არქიტექტორების — ქალაქმშენებლების, მხატვრების, მოქანდაკეების, ხელოვნებამცოდნეების, ისტორიკოსების, არქივის მუშაკების, მგემაწვეების, ექიმების და სხვათა კოლექტიური შრომით.

უსანგ მირიანაშვილი

სალამო



# მუსიკოსი, მხატვარი



ქეთევან გოგოლაძე

**მ** თინასწაველი მხატვარი... არ არსებობს პოეზიის ისეთი ინსტიტუტი, რომელიც ადამიანს პოეტობას ასწავლის. ნაკლებად თუ ვინმეს თვითნასწაველ პოეტს უწოდებენ, მაგრამ რატომღაც საყმარისია ადამიანმა სპეციალური მხატვრული განათლება მიიღოს, რომ მას უკვე მხატვრის სახელით ნათლავენ, მაშინაც კი, თუ მისი პროფესიული სიმწიფე ხელონისობას არ სცილდება.

გასულ წელს, საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოწყობილმა თვითნასწაველი მხატვრებისა და ხალხური ოსტატების ნამუშევართა გამოფენამ ცხადყო, რომ ბევრი «თვითნასწაველი» უფრო მეტად იმსახურებს ჭეშმარიტი მხატვრის სახელს, ვიდრე პროფესიონალითა გამოფენის მონაწილე ზოგიერთი «მხატვარი». რა თქმა უნდა, ყველა მხატვარს სჭირდება სპეციალური განათლება, მაგრამ ჭეშმარიტი მხატვა-

რი მიინც ვერ გახდება ის, ვისაც პოეტური აღქმის უნარი და შემოქმედებითი ალღო არ გააჩნია.

უპირველესად, სწორედ ამგვარი ნიჭის გამოვლენის რწმუნას გეინერგავს თვითნასწაველი მხატვარი ქეთევან გოგოლაძე, რომლის ნამუშევართა გამოფენა ხელოვნების მუშაკთა და ხალხური შემოქმედების სახლის ინიციატივით მოეწყო.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქეთევან გოგოლაძეს არავითარი სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია, რომ მან სულ რაღაც შვიდიოდე წელია, რაც დამოუკიდებლად დაიწყო ხატვა, იგი თვითნასწაველი მხატვრის სახელს საეგებით იმსახურებს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მის პოეტურ სულისკვეთებას, მხატვრული ხედვისა და შემოქმედებითი «წვის» ბუნებრივ უნარს,



თეიმურაზი მს.ტერის ნამუშევრების გამოფენის დარბაზი

მამინ უმართებულო იქნება საუკეთესო იმედებით არ განვიმსჯელოთ მისი დართი მხატვრული შესაძლებლობისადმი. ყოველივე ეს იძლევა თუ არა იმის საფუძვლს, რომ უკვე ქეთევან გოგოლაძისაც ჰქონდეს დასრულებული მხატვრის პრეტენზიები? რა თქმა უნდა არა, და საბედნიეროდ არც გოგოლაძე აღმჩანდა ისეთი, რომ მხატვრულ ნიჭთან ერთად შემოქმედებითი მოკრძალებაც არ გააჩნდეს. მის თავმდაბლობაში ყოველივე ამარჯვებს ხელოვნების, თუ შეიძლება ისე ითქვას, ფანტატიური სიყვარული.

ქ. გოგოლაძე პროფესიით მუსიკოსია. წელს მან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტზე დაამთავრა. ცდებოდა აქვს პოეტურ შემოქმედებაშიც. პოეზიისა და მუსიკის სიყვარულმა მიიყვანა იგი მხატვრობამდე. გაფართოვდა მისი პოზიციონირიც. ლესინგის თეატრი «ლაოკონის» დასაწყისში აღნიშნავდა, რომ «დინე ფერწერა და პოეზია პირველად შეადარა ერთმანეთს, მას ამდგომლად მასწავლი ალდი ჰქონდა და იტანოდა მათი ერთნაირი ზემოქმედება». იგივე ითქმის მუსიკაზეც. მუსიკის, პოეზიისა და ფერწერის ეს პარამიონული მითილიანობა იპყრობდა ყურადღებას მის გამოფენაზეც. საინტერესო ის არის თუ როგორ აღწევს ამას ავტორი, რომელიც თეატრისად არ უნახავს საერთოდ — როგორ მუშაობს მხატვარი მოლბერტთან. მას არავისგან არ უსწავლია არც ხატვა და არც ფუნჯის ხმარება. დამო-

უყვებელი გზით მიღწეული შემოქმედებითი პოზიციონირით შემოიფარგლა და შექმნა თავისივე სულიერი სამყაროსათვის დამახასიათებელი ესოდენ საინტერესო სურათები. თავიდანვე უნდა შევნიშოთ, რომ ამ სურათებს გვიწევთ აშკარა გავლენები, როგორც ფილოსოფიისა და გუდაშვილის, ასევე პოსტიმპრესიონისტული მიმართულებისაც (ვან-გოგი, სირა, გოკინი და სხვ.); მაგრამ მთავარი მანძეც ის არის, რომ ამ გავლენებშიც მქვადენება მოვლენათა საკუთარი შემოქმედებითი აღქმა და საკუთარი ხელწერის გამოუმავების იმედსაც იძლევა. არ უნდა დავივიწყოთ თვითონ გამოფენის დანიშნულებაც. იგი ერთსა და იმავე დროს ექსპრემენტულ ხასიათსაც ატარებდა და ხალხის ნიჭის პრაბაგანდაც გასწავი. გამოფენა უფრო ბიებისა და ვარჯიშის მარცხენელი შემოქმედებითი სამზარეულო ვასდლათ, თუმცა მასზე იყო მაღალმხატვრული სურათებიც, რომლებსაც სრული უფლება აქვთ საზოგადოების ფართო სამხარჯებზე გამოტანისა.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თუ შევხედავთ ამ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, დაწყებული პირველი ცდებიდან ბოლო სურათამდე, მათ განხვლილი გზის თავისებურება ახსანათობი. თუ თავისებურება მქვადენება უკვე პირველ ფერტილობში — «ლურჯი მთის» ქაღალდშია, რომელიც 1963 წელსაა შესრულებული. იგრძნობა, რომ ავტორმა ჯერ კიდევ არ იცის რა დანეშდება აქვს პალიტრას, მაგრამ ძაღვს ინტუიციური აღქმის უნარი, ფორმის თავისებური შემქმნება. ძირითადად იგნებით თუ უნებლიეთ გამოუმავებული გრაფიკული მანერით, ლურჯი, მწვანე და წარბიჯისფერი საღებავებით მანძე ახერხებს დაფიქრებული, ლამაზი ქაღალდის განწყობილობის გადმოცემას. მის პირველ ფერტილობებში («ლურჯი მთის ქაღალდი» 1963, «შემოქმედება», «ქაღალდის შვილის პორტრეტი», 1964 წ. «ნატურ-მორტი» 1964 წ. და სხვ.) და გრაფიკაშიც («ნატურ-მორტი» 1962 წ. «პეიზაჟი» 1962 «გურია» 1963 წ. და სხვ.) მხოლოდ გრაფიკული ხაზებით, ფართო ფერიით ლაქებით და არა ფერწერული ფერტილობებით იქმნება განწყობილობა სიხარულის თუ სევდის, სიყვარულისა და სიძალადის, ცხოვრების ჭვრეტის, შინსა და სინათლისაკენ სწრაფვის იქმნება ატონიფიკური, სადაც ავტორის მწვერვლიანი რაიკული დამოკიდებულებაში ყოველთვის მქვადენება მოეზიდა და მუსიკალაბა. რაც ის არა იმიტომ, რომ სურათების უმრავლესობას პოეტური და მუსიკალური ნაწარმოებების მიხედვით აქვთ შერჩეული სახელწოდებები, არამედ, რაც მთავა-

რია, დამახასიათებელი შინაგანი ხედვით ელენდობან ისინი. გოგოლაძე ჯერ კიდევ საკუთარი ხედვის შემუშავების პროცესს განიცდის, მაგრამ თავისი პოეტური სამყაროს გამოხატვის უნარი მან უკვე თავიდანვე გამოავლინა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მისი პორტრეტული ფერტილობები, რომლებშიც ერთერთ წმყვან ადვილს იკავებს ქართველი პოეტის ტრენტრეტი განხედის (1897-1934) პორტრეტი. ამ ტილოში გამოვლენილი პოეტური სულა სწორედ ამ გამოფენის ტონის მიმცემი. ავტორი იმდენად ღრმად გრძნობს გრუნდის პოეტურ სამყაროს, რომ სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ ლექსების შინაარსის მიხედვით შექმნა მისი სახე, რომელიც მხსნველია მეტიციებით თუმცმ გარეგნულადაც კი ძალიან ჰგავს მის. პორტრეტს თითქოს საფუძვლად დაედო განხედის ლექსის «უმიზნო ხეტიალის» ერთი სტროფა:

„შენ, დედამწევე, უფრო მამანებ, როცა ოცნებთ ზეცას მოვარ, წმსხვად ოცნებით, რად გამაძრე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!”

მაგრამ ეს მხოლოდ ჭუჭურუტანა აღმჩინდა, რომლიდანაც ფართოდ გადავინშალა ავტორმა გრანდის მთელი სულისფერი სამყარო. საერთო ზნელი კოლორიტში, მომწვანო-მოლურჯო გამაშო აბეცუვებულბი სახის ხაზოვები, ფონისავე მსვავს ტრანალობის რომ ფერდაც, ღრმა შავი ფერის კონტრუბები და, რაც მთავარია, უსსრულობაში ჩამირული თვალები პოეტისა ვისმომღებენ შემეგრედ მის წინ და ეგმინით ამ მომხიბველული, ვეპაკური სახის მქონე პოეტის დაღადას:

„მე ეს ოცნება ყოველივეს მსვდედა, არ ვებეცა სვედლს ასეთ ფერწომან, რომ ითვის ახლა ვიცი, ხაგვის სვედს ბაირომვილიც ვერ გაიგებდა“.

უყვებლობით მის დანისლოდ თვალებს და სურათის საერთო ცისფერი ტონალობა ისეც ვგახსენებს: «გაფილა — სისილიანი დამაჲ, ლურჯო-ცისფერი სინათლი», — ან, «მე ვფერფერობ, გულის განშეშო მსოფლიო სვედის ცეცხლი ანათია». უკვებ თითქოს ყოფნა-არყოფნის პრობლემასაც შეეზო:

„მოლის ცისფერი, და რაღაც შავი და საღებავ გაღმა კანისის სიოლა. ცისნებნები მიგვალა თივი? თუ სიცოცხლისთვის განავგრძობ ბძობლა“.

და საოცარი რამ ხდება. მისი სახის სვედას იღუმაღაბაში თითქოს უკვე გრძნობთ კიდევ «ყოფნა-არყოფნის» დაღბობთა გადაჭრის პრობლემას. მისი სიტყვიკის გამომხატვრული შუბლი, სახის განაწმებები, მაგრამ ვეპაკური იფერი გვემინებოს:

„მე მივლი ბალსცენ, ვათავდა ზამთარი და ვფერო ნათელი ღღებო მოღინა...“



**და კიდევ:**

„ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გამალა, კრთის ნანგრევებზე აღმდგინა, როგორც სანელო“.

მსატრეოს სურათებში საერთოდ ადვილი შესვარება ადამიანის დიდი სიყვარული, სიყვარული სიცოცხლისა და ყოველივე შეწვევიერისა, თუმცა თითონ გამოსატრეო სახეების უმეტესობა თავისებურად მკაცრ იერს ატარებს. პოეტური ნაწარმოების შთავგონებით თუ «თავისთავად», დამოუკიდებელი მსოფლგაგებით შექმნილი ეს სტატუტური სახეები შინაგანად მტკიცელებენ. და არა მარტო ადამიანთა სახეები, არამედ დეკორატიულად გაშლილი მისი პეიზაჟებიც, ასევე ერთი შეხედვით სვედით შემკობილი იერს რომ ატარებენ («გურია», «საღამო», შოთაშვილის «ფანტასტიკური პიესები» და სხვ.), სიცოცხლის სიმღერებს და ორჯანულ განცდას გამოსატრევენ. ამ სურათებში ბევრი საგულისხმო აზრია ნაყოფ ცხოვრებაზე. საჭიროა მხოლოდ მისი შეცნობა, საჭიროა დანახვად იქნეს, რომ მტკიცე ნებისყოფის, ერთი შეხედვით შეუხედავი, მაგრამ შინაგანად თბილი და სანდომიანი «სურამების» პორტრეტშიც ბევრი რამ არის დასაფასებელი, და, რაც მთავარია, მოყვასი ხასიათი, ვეპატრონი თავდაჭერლობა ნახვევად სცვიდინი თვალბის მიშმა რომ გამოსჭვავის; რაღაც მოუხეხარცაა ამ პორტრეტში. რაღაცას ოუმორის ელფერიც ვაჟებს, მაგრამ სულიერი სიმდიერე აშკარაა. ამ თემატურ ხასს მიყვება გოგოლაძის ფერტილობა: «ბედისწერა» (1965 წ.), «მამად ნასო» (1967 წ.), «პორტრეტები» (1965 წ.), «თემური» (1968 წ.), «პოეტური» (1967 წ.), «მამაკაცი ჩიპუსით» (1968 წ.), «მამაკაცის პორტრეტი» (1967 წ.) და სხვ.

«მამაკაცის პორტრეტი». ნაცრისფერი ფონი, საკუთარ სულში ჩახედული ვეებერთელა თვალბი. ნიკაპთან მიბეჭენილი საჩვენებელი თითი და მამაკაცის მივლილი იერი ცხოვრებაზე ღრმად დაკვირვებულად ადამიანს სახეს იძლევა. «თემურისა» და «პოეტის» პორტრეტებში ერთი და იგივე ადამიანის ორი ხასიათია მოცემული. თუ «პოეტური» უფრო ტრავიკოსი განწყობილობა გადმოცემულია, «თემური» — ეს იგივე პოეტური სულია, ამკურად უკვე ლირიული განწყობილობისა. გოგოლაძეს სურს გამოხატოს ერთი ადამიანში მოცემული სხვა-სხვა სულიერი მოძრაობა და ამას ასერხებს კიდევ. განსაკუთრებით მომხიბვლელია «თემური». რამდენი შინაგანი ძალა, სიღრმე და პოეზია მის გამოიმეტ-

ვებლბაში. რაღაც ამგვარი და უფრო ძლიერის გამოხატვა მართებდა გოგოლაძეს «რუსთაველის» გრაფიული პორტრეტის შექმნისას. ტუმბი უსრულდება სივრცეში მისუხედავად გარეგნული ხასხობრივი რიტმულობისა, შინაგანად უმობარია, თუმცა ისიც უნდა აღინშინოს, რომ გადაწყვეტა მაინც ორიგინალურია. პოეტის ხასის წინ გაბნახტული ცხენის თავი რამდენამდე წინსწარავს და მიზანდასახულობის იერს ანიჭებს სურათს.

როგორც ვთქვით, განწყობილებიანა და აზრის გადმოცემას კარგად ასერხებს გოგოლაძე. «ნაადრევი შემოდგომა», «დალი» (1967 წ.), «ბექა და ბეჟენი ოპიზარი» (1967 წ.), «მატარებელი» (1968 წ.), «პაპანაქება» (1967 წ.), «ნადირობის ქალღმერთი დალი» (1968 წ.) და სხვა ამის სრული დასახტურებაა. «ბექა და ბეჟენი ოპიზარი» XII საუკუნეში ამ ორი ოქრომჭვლის პორტრეტული ასახვის ცდაა, მაგრამ მასში უფრო ერთი თავადღებული მოღვაწეების განზრახვული სახეებია მოცემული. სურათში ოქროს საუკუნის განახლებიანა და ხელოვნების აღმავლობის სიმბოლოები რეტალებია: ბექას ხელში ანთებული სათითი და ბეჟენის მიერ წინა პლანზე წამოწეული სახარების ოქროსფერი ჭვლეური ღვა — გვიანმული ქრისტიან გამოსახულები. სურათში «მატარებელი» ხანგრძლივი მგზავრობით იერილილობისა და მოწყენილობის იერი დაპირავთ ვაგონის სარკმელთან მდგარი მამა-შვილის. მცხუნვარე მზის ეფოკის იწყვეს «პაპანაქება» თავისი ოქროსფერი, მზობური კოლორიტით. ღირიკული განწყობილობა საესე «დალი» და სხვა. სურათში «სევდა», ნახვევად ფრინველისებრი და ნახვევად ცხოველისებური არსება დასრული თავითა და სხვა. დაწმუნებების ასოციაციის იწყვეს. გოგოლაძის თვითიული სურათის საუბრედად უღვეს მისი უშუალო შთაბეჭდილება, მამინაც სურ, როცა ეს სურათი რომელიმე მხატვრული ნაწარმოების ან დიდი ხელოვანის შთავგონებითა შექმნილი. მას არასოდეს უსარგებლია არც მოვლით და არც პლენერთი. მის ფერტილობეს აკო უმეტეს შემთხვევაში თობის ხელოვნური სინთაისის უმუქო სვედით, ხელი იმას, რასაც იგი გვიჩვენებს და გვიმტკიცებს, საკუთარ სევდაში გატარებულ მტკიცე რწმუნებაზე თან ატანს. ვინ არ იცის თუ რაოდენ მწლილია პოეტური და მუსიკალური ნაწარმოების აღბეჭდვა სურათზე. მისი ფერტილო «სურამების» მე-მე-ე სონატა ანუ როგორც მან უწერდა «მზის მოტაცება» ამ მხრივ საინტერესო მაგა-

ლითს იძლევა. სურათს შეეყვარება ცნობილი რუსი კომპოზიტორის იმ მუსიკალურ სამყაროში, რომელიც თავის მხრივ ძალიან უახლოვდება ბლოკის პოეზიას. ცნობილია, რომ ისევე, როგორც ბლოკის პოეზიაში, სურამების მუსიკაშიც მთლიან სისახეს იტანს თავი რეკლამაციის გაღვინამ. გამოფხინების სიმბოლო-ზარი და რეკლამაციის ძლიერების გამოსახულება — მზე ცენტრული ადვილის იკავებს ამ ფერტილოში. სურათი ერთსა და იმავე ღრის კიდევ იკითხება და მოსახმენიანია. საერთოდ, მუსიკალურ და პოეტურ თემაზე შექმნილი მისი სურათები «პაპანაქება», შუმანის «ფანტასტიკური პიესები», «ვეებრის სიმფონიური პიესა» და სხვა ფორმის მიხედვით, დაკავლევს სიცხევედ რომ ვთქვათ, «შეიძლება შეადარო მუსიკაში გარკვეულუბა «ფარსიციებს», როცა ნაწარმოების დასაწყისში გადმოცემული თემა — მღვდლია შემდეგ ცვლდება, რაღაც ასახული მხრადან იშლება. ზოგჯერ თითქოს ცნობაც კი ვებრის, მაგრამ ყოველი მისი ასახლი სხვა ამტიკაციის მთლიან ნაწარმოების მხრითადა იღვას, ავტორის მიერ მასში ჩაქსოვილი ძირითად აზრსა. საინტერესოა, რომ ხალხური სიმღერების თემაზე შექმნილ გადმოცემა სურათებში: «მზე შინა და მზე გარეთა», «ლილი» დასხტური სიმღერის მთლიანად ქლრის არა ფიგურის, ხელის მოძრაობისა თუ ხასის მოძრებების რიტმში, არამედ სახეების მოძრაობის რიტმში. ხაზობრივი რიტმი დამახასიათებელია გოგოლაძის გრაფიკისა და ფერწერისათვისაც. ხშირად იგი ობიექტის განსხვავებისათვის იყენებს ფერს მრავალფეროვან სურათებში: «ღვინო, ღვლეუ, ქალები», «ძლიერნი ამ ქვეყნისა».

ყურადღებას იყბრებს ლიტერატურული ოლტრარატივიტიც, რომლებშიც პოეზიას წამყვანი ადგილი უკავია. პირველი რიტმი, რა თქმა უნდა, გრაფიული სურათი ბარათაშვილის «სასურე» უნდა დავასახლოთ. ეს სურათი უფრო გრმობათა ენით — პოეზიით შევეცდებოდეს, ვიდრე სურათიონებით. მტკიცე კოცონადაა გადმოცემული პოეზია სურათებში «მებო» (ავტორული 1966 წ.) «ზღვისფერი გაქვს თვალბები» (1967 წ.) და სხვ.

დაგვიჩინია მხოლოდ ერთი ფურტილო ქეთივან გოგოლაძეს: უფრო მეტი მზის შუქი შეიტანოს თავის სურათებში. დაე ნუასოდეს ნუ დაკარავს თვითნასწავლი მხატვრის უშუალობას და ამავე ღრის გახდეს პირფოფონილი.



საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის იოსებ მებერიშვილის დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავის შემოკრძელებითი საღამოს პრეზიდენტი გურჯაანი

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სოსო მებერიშვილის სარქვისიორი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახალხო სახლში, ხაშურისა და ჭავჭავაძის თეატრებში, თბილისის ცენტრალურ და პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბებში, ველისციხის, თელავის, სიღნაღის და ბოლოს გურჯაანის სახალხო თეატრში.

და აი, მიმდინარე წლის 17 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გურჯაანში, სადაც ს. მებერიშვილი კვლავ ერთგულად ემსახურება თავის საყვარელ საქმეს, ფართოდ აღნიშნა ქართული თეატრის ამაგდარი ადამიანის დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი.

ს. მებერიშვილის შემოქმედებით საღამოზე ფართო საზოგადოებასთან ერთად თავი მოიყარეს იმ თეატრებისა და კლუბების წარმომადგენლებმა, სადაც კი მას უმუშაოა და არა ერთხელ გაუხარებია მაცურებელი თავისი შესანიშნავი სპექტაკლებით. ისინი აქ ჩამოვიდ-

ნენ, რათა გურჯაანელებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნათ დეკლემოსილი ადამიანის ამავი და ერთხელ კიდევ მიელოცნათ 60 წლის მანძილზე ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

სოსო (იოსებ) დაეთის ძე მებერიშვილი დაიბადა ხა-

შურის რაიონის სოფელ ჭალაში. სწავლობდა ჯერ თბილისის პირველ გიმნაზიაში, რომელსაც იმხანად გამოეწინილი ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1906 წელს

დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი.

1913 წელს ს. მებერიშვილი ერთდროულად ამითარებს ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტსა და ხარკოვის რუსული თეატრის მსახიობის ნ. ა. ფედოტოვის ხელმძღვანელობით არსებულ სთეატრო სასწავლებელს.

ს. მებერიშვილმა, რომელიც ადრევე იყო გატაცებული თეატრით, განსაკუთრებული მონდობა და უნარი გამოიჩინა ხარკოვის სათეატრო სასწავლებელში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ნ. ფედოტოვს. ამიტომ იყო, რომ მან სასწავლებლის დამთავრებისთანავე მებერიშვილი თავის თეატრშივე დატოვა ჯერ რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ დამდგმელ რეჟისორად. ფედოტოვმა მებერიშვილთან ერთად ამ თეატრში ვანანაორციელა ლ. ანდრეევის «დენი ჩენი ცხოვრებისა». შემდეგ ს. მებერიშვილი გადადის პოლტავის თეატრში, სადაც დგამს დიდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის «ტყეს». ორივე სპექტაკლს თავის დროზე საკმაო წარმატება ჰქონდა. 1918

## ს ა მ ო ტ ი ნ ე ლ ი თ ე ა ტ რ შ ი

ნიკოლოზ კელოშვილი

წელს ს. მეგურიშვილი ბრუნდება სამშობლოში და მთელ ძალას, ენერჯიას და გამოცდილებას ამზარს ქართული თეატრის განახლების საქმეს. თბილისში ჩამოსვლისთანავე ს. მეგურიშვილი რეჟისორად ქართულ თეატრში, რომელიც იმ დროს მოთავსებული იყო ზუბალაშვილების სახაზხო სსლში, აქ ქართული თეატრის ბვერი გამაოჩინელი მოღვაწე მუშაობდა, მათ შორის: ნინო გოციოტი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვიქტორ ნინიძე, ალ. მერტყეფელი, გ. ჯაბაური და სხვანი. ს. მეგურიშვილმა აქ განახორციელა შილერის «ყაჩაღები» (ნაიკო გოციომეხთან ერთად), ზოლო ვალერიან შაბაიშვილთან ერთად — ლ. ანდრეევის «ღღინი ჩვენი ცხოვრებისა». მალე სახალხო სახლის სცენაზე დაბრუნდა და დადგა: ი. ეკალაძის «მე 21 ჯვრით», ნ. შიუკაშვილის «მეგობრები», «სიმინინჯე» და სხვ.

1921-1922 წლის სეზონში სოსო მეგურიშვილი სამუშაოდ გადადის ხაშურის თეატრში. აქ დადგა მან ვ. გუნიას «და-მამა», დ. ერისთავის «სამშობლო», ი. ჭავჭავაძის «აკცია ადამიანი?» პ. ირეთელის «მეზობლები», ტრ. რამიშვილის «სტუმარ-მასპინძლობა» და სხვ. ეს სპექტაკლები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ ხაშურელ მაყურებლებში. მათ ესწრებოდა აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების ახალგაზრდობაც. აღსანიშნავია, რომ ს. მეგურიშვილმა პირველად ხაშურის სცენაზე გამოიყვანა ნიჭიერი მსახიობი, ამჟამად რესპუბლიკის სახაზხო არტისტი მერი დავითაშვილი.

1922-1924 წლებში ს. მეგურიშვილი კვლავ თბილისშია და რეჟისორად მუშაობს თბილისის ცენტრალურ მუშათა კლუბში (დღევანდელი ფილარმონია). იგი აქ ხელმძღვანელობს ქართულ და რუსულ დრამატულ წრეებს, დგამს მცირე ფორმის პიესებს და ამავე დროს თეატრალური ხელოვნებას

სხვადასხვა საკითხებზე სისტემატურად ატარებს ლექცია-მოსხენებებს.

1925 წლის სეზონში იგი ჭიათურის თეატრში ა. ჭიათურაში მის დახვედრას: თეატრის მთავარი რეჟისორი მის. ქორელი, პ. ფრანგიშვილი, ნინო გამრეკელი-თორელი, ართა ლოლუა, ნუნუ მაჭავარიანი, გრ. ნუსუბიძე, პ. გამრეკელი და სხვ. ს. მეგურიშვილმა აქ განახორციელა ვ. გუნიას «ორი გმირი», ერკარტის «თავისუფლება» და «პეპელა ბრძოლა», რის შემდეგაც კვლავ თბილისს დაუბრუნდა.

1925 წლის ოქტომბრიდან ს. მეგურიშვილი საბოლოოდ გადმოდის თბილისში და მთავარ რეჟისორად იწყებს მუშაობას პლენსიონის სახელობის კლუბთან არსებულ ქართულ დასში. ამ დასში იმ დროს მოღვაწეობდნენ როგორც პროფესიული მსახიობები, აგრეთვე რკინიგზის დეპოს ახალგაზრდა მუშები.

ს. მეგურიშვილის სპექტაკლებმა მალე მიიქცია ნამდვილის მოსახლეობის ყურადღება.

მან აქ დადგა დ. ერისთავის «სამშობლო», ვ. გუნიას «და-მამა», ს. შანშიაშვილის «სპარტაკი», გ. სუნდუკიანის «პეპო», ა. ცაგარლის «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ» და «ხანუმა», პ. ლავერნიევის «რფეევა», შილერის «ყაჩაღები» და სხვ. აღსანიშნავია, რომ პლენსიონის კლუბში დადგული სპექტაკლი «ყაჩაღები» დიდმა ქართველმა რეჟისორებმა კ. მაჩავაძეშვილმა და ალ. ასმეტელმა დიდად მოიწონეს.

ს. მეგურიშვილს არც სოფელი გამორჩენია მსგავსელობიდან. 1929-1930 წლის სეზონში მიმგზავრება კახეთში, ჭურჭაანის რაიონის სოფელ ველისციხეში და წლების მანძილზე დაუღალავ მუშაობს ექვთ. მიუხედავად მრავალჯერა სიმწიფეებისა და დაბრუნებისა იგი ასწრებს კახეთის სოფლის მოსახლეობას მომსახურების თავისი შესანიშნავი სპექტაკლებით. ველისციხეში დგამს: პ. ლავერნიევის «რფეევა», ს. შანშიაშვილის «სპარტაკუს», სიღნაღში —

ა. ოსტროვსკის «უღანაშვილო დამნაშავენი», ვ. ცაგარლის «ხანუმა» და სხვ. არ დარჩენილა კახეთის რაიონების არც ერთი დიდი თუ პატარა სოფელი, სადაც არ მოხიზბულაყენენ მაყურებლები ს. მეგურიშვილის მაღალმხატვრული და მაღალიდუური სპექტაკლებით. «საქართველოში არსებულ საკომუნურ თეატრებს შორის, — წერდა ლ. ისაკიანი ჭურჭაანის რაიონულ გაზეთში, — შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ნაყოფიერად ველისციხის თეატრი მუშაობს. თეატრის მიღწევები აღნიშნული იყო ამას წინათ ხელოვნების სამმართველოში ჩატარებულ თათბირზე. ველისციხის თეატრის დადგმები ნაწილად იქნა აგრეთვე ყვარულში. ყოველი წარმოდგენა კომუნურნიეგში უდრდეს მოწონების იმსახურება. მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ს. მეგურიშვილი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკადრება ახალგაზრდა კადრების აღზრდას. იგი სისტემატურად აწყობს მათთან



საუბრებს — გრემის, რიტმის, მეტყველებისა და სასცენო ხელოვნების სხვა საკითხებზე».

ს. მეგურიშვილი არა მარტო გამოჩენილი რეჟისორი და შემოქმედია, იგი ამავე დროს შეგანიშნავი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, კარგი ლექტორი და ჟურნალისტიცაა.

ყველგან, რომელ თეატრშიაც კი ყოფილა, ს. მეგურიშვილი არა მარტო რეჟისორად მუშაობას, არამედ დიდ კულტურულ სავანანათლებლო მუშაობასაც ეწე-

ოდა. ატარებდა ლექცია-მოსხენებებსა და საუბრებს, მსახიობთა კვალიფიკაციისათვის მოსახლეობის კულტურისა და განათლების ამადლებების მიზნით.

ს. მეგურიშვილის, როგორც რეჟისორ-პედაგოგს, აღზრდილი ჰყავს მრავალი მსახიობი, რომლებიც დღესაც განაგრძობენ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ქართულ თეატრებში.

ს. მეგურიშვილს სცენაზე განხორციელებული აქვს სუთსამედ პიესა, მათ შორის კლასიკური და თან-

მედროვე დრამატურგთა პიესები როგორც ქართული, ისე მოამე რესპუბლიკების ავტორებისა, აგრეთვე სასაზღო დემოკრატიის ქვეყნების დრამატურგთა საუკეთესო ნიმუშები. მისი სპექტაკლები ყოველთვის აღსავსეა ღრმა აზრით, ჭეშმარიტი შთაგონებითა და დიდი სიმართლით.

შემოქმედებითი სინდისიერება მუდამ ახასიათებდა ს. მეგურიშვილის მოღვაწეობას. დღესაც, მიუხედავად სანდამუდლობის კვლავ ჩვეული ასაღზარდული ენერ-

გითი განაგრძობს საეკრუნი საქმეს.

ქართულ თეატრში განგრძობს ძლიერი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის ს. მეგურიშვილს მინიჭებული აქვს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, მრავალჯერ დაჯილდოებულია სიყვებით და მადლობებით.

მეგურიშვილის შემოქმედებითი სამამო ზემოთ აღიწერება გურჯაანში. მან ეს პატივისცემა დირსტულად დაიმსახურა უნჯარო და პატიოსანი შრომით.

## კატენიის კაბიკა

# საქმეკალი სიყვარულსა და კეგობროგეკა

ნინო შვანგირაქე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში წარმოდგენილი აკ. გეგუაძის „ყვარლის ყანოლიკა“, ერთი შეხედვით, თითქმის არ არის ჩვენი დღეგანდღეობის ამსახველი პიესა. მისი კლტერატურული საფუძველი ფიქრები, ვასტული საუკუნის მიწურულში ქართველ გლეგებს რომ აწუხებდა: როცა რაჭველ გლეგს ერთი ქვევა სახნავ-სათვის და „ხარის ენის ტლო ვენახის“ მეტი არა გააჩნდა რა. მშობლები წელს იწყებდნენ შვილების გამოს კეებად, მაგრამ მათი შრომა მინც არ იყო ხსნა გეგირეებისგან. რამდენიც უნდა ეკახიროთ, სიღარიბეში აღმოკვებდება სტლიო და უკეთესის იმიდით ქალსე მიაშურებდნენ.

ქალმწერი ყოვა კიდევ უფრო სასტყეი იყო. ეგოზიში, მტკაცებლური გეგონებები, ცხოველური ინსტრუქტები...

მაგრამ ნამდვილი აღამიანი მითიც აღამაინალ რჩება, თავისი კვილიშობილებითა და მეგობრობის უფიქრფასესი თვისებებით. ამხევა სექტაკლი და სწორედ ამით ეხმიანება იგი ჩვენს თანამედროვეს, მოუწოდებს მას იყოს მოქმე მოქმისათვის, უყვარდეს თავისი კუთხე, გერძილის ჩვენი ყოველცხოვრების ზოგიერთ ნაკლს.

პიესის სიუჟეტი უბრალოა. მასში არ არის განსაკუთრებით რთული სიტუაციები და მოვლენები, მაგრამ არის შინაგანი სიღრმე, კონფლიქტი, — ცხოვრების მოძრაობა. ეს შინაგანი კონფლიქტი კი გამოიხატება იმის დაპირისპირებაში, თუ როგორი უნდა იყენენ აღამიანები ურთიერთდამოკიდებულებაში, რომ ცხოვრებისეულ მიმიწუთებში მინც აღამიანებად დარჩენ,

არ იწყებდნენ მეგობრობის წმინდა მოვალეობას.

აკაცი გეგუაძეს უსაზღვროდ უყვარს თავისი ხალხი, სწამს მისი კეთილშობილება და მითუმეტეს გრძნობს გულისტკივილს ცხოვრების ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარის გამო. ამიტომაც ზოგჯერ სევისიანი დრამატურგია, მაგრამ მისი განწყობილება ყოველთვის ოპტიმისტურია.

პიესა ძირითადად ცალკეული ქართული სცენებისგან შედგება. ისინი ცხოვრებისეული უბრალოებით ხასიათდებიან, აერთიანებთ მეგობრობის, სიყვარულისა და ხალხისანი სიცოცხლისადმი სწრაფვის მოტივები.

ნაწარმოები საესევა კომიკური მდომარეობათა უშუალოებით, სიმსუბუქით, ღრმავარდებიანი იუმორით და ნათელი საღებავებით, შექმნილი კოლტორატული სიტუაციებით. იგი დწერილი კარგი ქართულით. დრამატურგი მშვენიერად ახერხებს რაჭული ხასიათების გადმოცემას. სექტაკლი იმის რაჭული მეტყველების თავისებურება. ამას ემატება (ზოგიერთი მსახიობის მეტყველებაში) რაჭული დიალექტის ფორმები, რაც გაღაჭარბების საფრთხეს ქნის, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაწარმოები იმდენად ზოგად-ქართულია, რომ არ მოხება სექტაკლის ზედმეტდენ „გაუთხურობა“. ენის ამ რაჭული კოლტორატული ავტორი ქმნის მხატვრულ და სინტეტრუსო სახეებს.

პიესის წაკითხვა, რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვანაირად, მაგრამ რეჟისორმა ა. ქეთათაოლიკემ ირჩია წინ წამოწევა აღამიანული სახეები, სიპარ-



თლით გაეხსნა ცხოვრებისეული მოვლენები და გაღმოეცა ისინი კომედიური სიმახვილით.

თუმცა სპექტაკლს არ გავუყვირებ-ბივართ დრამატურგისაგან განსხვავებული რამე რეჟისორული კონცეპციით, ან ვადაუწყებთ მთელს დასახლებით, მაგრამ გაავლელვა მალაღაბანობით თვისებების ხაზგასმით და დეტალების შესანიშნავი დამუშავებით.

რეჟისორი მიუხედა დრამატურგს, რომ ამ მზიარული პიესის მიზანი ცალკეული მოვლენის ცაიენვა კი არ არის, არამედ მთავარია მისთვის მყარი, მასკოცხლო ნადაგის შექმნა. მაგრამ ისიც არ შეიძლება გულსიტკი-ცილი არ გამოეთქვათ ფორმების უზუსტობის გამო. მარჯალია, რეჟისორმა სწორად შეიქნო დრამატურგის მიერ შექმნილ სახეთა სამყარო, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დამყავიფოდლა მარტო-ოდენ ილუსტრაციით, ნაცნობი თეატრალური საშუალებებით და გვერდი აუარა საკუთარ შემოქმედებით ინტერპრეტაციას. სწორედ ამის შედეგია ის ეკლექტიზმი, რომელიც დამუშებულა სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაში (მხატვარი თ. სუმბათაშვილი). ამ მრავალსტრიანობის მიუხედა „მოდის“ ხარის გაღება მიგვაჩინა. თეიმონხანდ ქვეულ ქეპარინქესტს, როდესაც მას საფუძველში არა აქვს მხატვრის დიდი იდეა, არ შეუძლია თეატრი გამოიყვანოს ხელოვნების დიდ გზაზე.

სპექტაკლი განსაკუთრებულ ყურადღებას აქტირული ანსამბლი იქცევს, რაც რეჟისორის მუშაობის კარგ მხარეზე მიტყვევებს.

პიესის ორ მთავარ მოქმედ პირს, ახალგაზრდებს ყარაამანსა და გ. ჯეიშვილიანტებში გ. ფირცხალავა და გ. ჯეიშვილი ანახიტირებენ. მათ შექმნეს უბრალო, სატიოისანი, კეთილი ახალგაზრდების პატიობა. მსახიობები სცენაზე გულწრფელად და დიდი სიმართლით წარმოსახავენ თავიანთ გმირებს, რომელთა ცხოვრებისეული გამოცედა მაცურებლის თელწინ ხდება. ისინი ხომ გუმინ ცელვი მოსწავლეები იყვნენ, რომლებიც უხრუნველად იყვანია-ობიდან რაჟის ლამაზ მიემში, მაგრამ ამეებს მუარე სინამდვილე, რაუტლსა და დიდი გზაზე იცავდნენ საკუთარ ღირსებასა და პატიობასაც.

გ. ფირცხალავა და გ. ჯეიშვილი ირჩევენ კონკრეტულ დისქოლოგიურ ფერებს: გმირების სცენურ ხორცშესხმში ნახევრება ხსიათის კონტრასტული თვისებები, რითაც კიდევ უფრო მარალია, დისქოლოგიურად დამყარებელი, სანტერუსო გახდა ეს სახეები.

გ. ფირცხალავამ მონახა ყარაამანის შინაგანი ბუნების მთავარი თვისება, აქცენტი გადაიტანა იმ მოტეებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მის ადამიანურ ბუნებას.

გ. ჯეიშვილმა სრულად დამსახურებულად მოიპოვა მაცურებლის სიმპათია. სითბოთა სავეგ შეგობაობის მისი გახვამებების სცენები, განსაკუთრებით სესის დაბრუნების ეპიზოდში. მსახიობს გაჩინა განცდათა უშუალოდ, სინამდვილე.

სამაზაზრდა აქტიორული ძალებს, დებიუტანტებს სპექტაკლში საიფოდლო ამოღდომია გვერდში სცენის დიდოსტრიცა ვასო გომიაშვილი, რომელიც უცნობის ეპიზოდურ როლს ანსახიერებს. ამ პატარა როლში მან მოვეცა ისეთი განვრცადებულა სახე, რომელსაც ქეშმარტი ცხოვრებისეული მნიშვნელობა აქვს. გომიაშვილისთვის ლაზახსიათეველმა შეუდარებელმა დაბლიტურებამ და ემოციურობამ განაპირობებს ამ საინტერესო ხსიათის სრულყოფა. ეს არის რთულ და გრძელ გზაზე გამოცდილი ადამიანი, რომელიც ათასი ხელმანა გამოუტყვია. მოუტლია ქვეყნიერება, მღედელიც ყოფილა და სარისკიბის პატრონიც, მათხვარიცა და დიდი განძის მფლობელიც. მჭარამ მთავარობის სავარძელშიც და ციხეშიც. მის ახლა ყველაფერი სძულს, მაგრამ ცხოვრების გამოცდილებას დაეჭრებენა, რომ ვიდრე სოფლის რბილ მიწაზე დაიდიდა, ფეხს თამაშიდ ადვამდა.

ახლა კი, მოუხედავად იმისა, რომ ქალაქის მავარ ქვაფენილზე დაღის, ყოველი ნამბიის გადაღება აფრთხობს. ფეჭქეშე მიწა დაკარგა და თეთონაც დაიკარგა.

ვასო გომიაშვილი ბრწყინვალედა უხამებს ერთმანეთს ფიზიკური და სიტყვიერი მოქმედების ინტონაციებს. მსახიობი უცნობის მწვეგი კომედიურ სახეს ახავეებს სითბოთი, ლობიზობით, აჰყავს იგი ღრმა დრამატულიმამდე და ძირწყის მას ყოველი დეტლის უზუსტესი დამუშავებით. უცნობისათვის გომიაშვილმა ისეთი განვრცადული იერი იპოვა, რომლითაც სავსებით გამოხატა და აასულდამგულა აეტრორის მიერ წარმოდღენილი სახე.

რამეული გლეხის მამის მწვენიერი პორტრეტი შექმნა რესპუბლიკის მისხალხო არტისტმა ალ. ომაძემ. მისი ამბროლა გულმართალი და გულსხმბიერი ვლენჯაკია, რომელიც ყოველგვარ ღირეს ხმარობს, რაათ ქვეყანას მისცეს მშრომელი და მზრუნველი ადამიანი. არავითარი ვაზვიადება და სიყვარული.

თვითუთლი მისი ეცსტი, სიტყვა გამომსახველი და ჩამაფიქრებელია. ომიამის ამბროლა მხატვრული სიმართლის ძალითა შთამბეჭდავი. მის გვერდით დგას ნ. ჩხეიძის მიერ სანტერუსოდ დახატული — გულისხმობი, ფაქტულად მოვერდული დედა ელისაბედი. გარდასახვის თუთლდ სანტერუსო ფერებს მიავენს მსახიობებმა — გ. გელოვანმა (კოწია), ზ. ოსელიანმა (ცობუნია). ზ. ოსელიანს ტექტიკა არც კი აქვს (ალბათ იმიტომ, რომ მისი ცაბუნია დრამატურგისეული არ არის), მაგრამ იმდენად კოლორიტულია ფაქტურითა და ფიზიკური მოქმედებით, რომ განუხნის მოტივაციის გასაგებდა მაცურებელს ალარეც კი სჭირდება სიტყვიერი მასალა.

მატყუარა, ხალხსათვის საძღველი არტემას სახე შექმნა ზ. ლფერაძემ. მსახიობი უმეტესად კეთილშობილადამიანებს ანსახიერებს ხოლმე, მაგრამ ამგერად აქტიორული გარდასახვით შექმნა უარყოფითი ხსიათი და მაცურებლის სწორი რეაქცია გამოიჩინა.

ზომიერი თუმბოთა და არტისტული ხსიადავით არის განსახიერებული ე. ნინუას ამხანი, ხოლო მ. ვაშაძემ, როგორც ყოველთვის, აქაც წინა პლანზე წამოიწია როლისათვის შესაფერი თვისებები.

სპექტაკლი აღსანიშნავია აგრეთვე ა. ევერფიშვილის (დაჩია ყაჩაღი), დ. ოქროსცვარიძე (გოროდოვი), გ. ციციშვილი, რომელმაც ხალხის საყვარელი მჭედლის სახე წარმოგვიდგინა.

მაცურებლის მოწონებას იმსახურებს მსახიობი, გ. ცხკარიაშვილის სვანი გლეხი, რომელიც დახატულია შინაგანი სითბოთი, გულწრფელობით და ზომიერებით. აქტიორული ნამუშევრებიდან გამოირჩევა აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობი, გ. სიხარულიძე. მან მკავიფოდ მოხაზა თავისი გულჩინო და მისი განცდები ნაილად გადასცა მაცურებელს. სპექტაკლში, მგზავრებისა და კიტოს ყანრული როლების განსახიერებთ გამარჯვებას მიადრეს მ. შავსავამი, ა. ალვაქიძე, ვ. თანდლიშვილი.

„ყარამი ყანთელაძე“ მარჯალიაშვილის თეატრი ამ სცენოსის საყვარელბო ნამუშევარია. იგი ფართოდ იზიარება მაცურებელს ანსამბლიზობით, მსუტუქი კომედური ელფრადლობით, ოპტიმისტური პათოსით და, რაც მთავარია, მეგობრობისა და სიყვარულის მწონდელის ცნობების სანტერუსოდ გაღმოციეით.



მაკო  
„მღელვარე  
ღღევიბი“



# ქიქება და შეღებო



ქალი-მდივანი  
„მოპავალ“  
შეზვიდრამდე“

## ნათელა იმედაძე

იგი არ გამოირჩევა არც სილამაზით, არც თვალ-ტანადობით. და მაინც როდესაც ხალხმრავალ ქუჩაში მიდის, მას ბევრის მოსიყვარულე თვალი, თბილი ღიმილი მიაცილებს. ის კი ისე მოკრძალებულად დადის, თითქოს უნდა ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩეს, მაგრამ მხრებს იქით მაინც გრძნობს სითბოს, სიყვარულს და კეთილად ეღიმიება.

იგი ჭეშმარიტი მსახიობია, მართალია მას სცენაზე არ უთამაზია არც კლუბატრა და არც მედია, არც ოფელია და არც დეზდემონა, არც ეკრანი დაუპყრია, მაგრამ მისი ყოველი გამოჩენა ეკრანსა თუ სცენაზე სასამოვნო და სანიტერესოა.



მრავალი სახე შექმნა მსახიობმა კვატერინე ვერულაშვილმა ვერანზე, მისი „მეორეხარისხოვანი“ გმირები ყოველთვის გააზარებენ ცხოვრებისეული უშუალობით, ადამიანური სიმართლითა და მომხიბლავი ეთიკით.

დრამა დემოკური, მომხიბლავი, დაუვიწყარი სახე შექმნა ეკ. ვერულაშვილმა მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმში „ქორწილი“ — მან თავისი გმირის დასახატავად მკვეთრი ფერები გამოიყენა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ეკ. ვერულაშვილის დედა „სასიძოს“ ბინოკლით შეფასების დროს. მთელი მისი მოქმედება ქვეტექსტურის შრეცაა. საგრიზო ამ ფილმში, რომელსაც მთელი სიცხადით გვიჩვენა მისი შოკაძობელობა და ნიჭი, მსახიობს დიდი პოპულარობა მოუპოვა.

ფილმში „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“ (რეჟისორი ბ. რიკარდო) ეკ. ვერულაშვილი ალადინის დიდის შემსრულებლად მიიწვიეს. მსახიობმა გაამართლა რეჟისორის იმედი და მოგვიბოძა მისთვის დასამახსოვრებელი, გმირის ხასიათის უსუსტი და ლაკონური გახსნით. მის ნაშუაგვარ ცხოვრებაში გამოვლინდა ოსტატის ხედი, რომელიც გულდასმით ძირწვს თვითველ დეტალს.

მანც რთი ახსენება მისი ასეთი პოპულარობა?

გაგონებთ თუნდაც მის რამდენიმე გმირი: მოტიარლი ქალი (ნ. მანდლიძის „ავტობუსი“), მარუსა (შ. მანაძის „ვინ შეაზნაეს ცენს“), მეზობლის ქალი (ე. მანაძის „ეკოლი ადამიანები“), დამსვენებელი (ნინოვასა და წულაის „წარსული ზაფხული“), აკვირინე (ს. დოლიძის „შევედრა წარსულთან“). განა შეიძლება ამ როლებს გმირები ეწოდოს? და მანც ძალიან ახლოს აკანან მაყურებელთან, მკვეთრად გავგარწობინებენ თავიანთ თავს.

ეკ. ვერულაშვილის უსიტყვო გმირების ასეთი „ამტკვევლი“ სწორედ მსახიობის უხარალოებითა და უშუალობით, ცხოვრებისეული სიმართლისა და შეტყვეული მიმოივლის უსიტყვო მიჯნებით არის გამოწვეული.

... მსახიობი კი თავისთავზე კვლავ სდუმს. როდესაც განუცხადებ: „მინდა თქვენზე ორობდე სიტყვა ვთქვა-მოვიკი, წუთით თვალები გაუწიწყინდა, შემდეგ კი უხერხულად შეიმშუპა.

— რა საჭიროა, მე ხომ საამისო არაფერი გამიკეთებია — და შეეცადა იმ წუთშივე გამსვლოდა. ძლივს დაფიანსხმე ეამნა ჩემთვის რამე, ეპასუხა ჩემს კითხვებზე.

— მსახიობობა თქვენი ბავშვობის ოცნება იყო?

— დაცხ, მხოლოდ უნდა გამოვტყდებ, რომ ამ შემთხვევაში მშობლების ურჩი შევი-

ლი გამოვდექი. — დედას ძალიან უნდოდა მისი ქალწული ჰიანისტიკა გამოსულიყო, ხოლო მამას, რომელიც ჩემში ჰიანისტიკათვის საჭირო ნიჭს ვერ ხედავდა, ჩემი ინიერობა სურდა. მამის დადინებული თხოვნის შემდეგ გადავწყვიტე ჩამებარებინა გამოცდილი პოლიტექნიკური ინსტიტუტი... წარმოადგინეთ ჩემდამთებულად გამოცდილი კარგად ჩავაბარე და ინსტიტუტში ჩავირიცხე. რაღა გავწყობოდა, დედადემი მამის მიერ არჩეულ გზას — მაგრამ ხელოვნებისადმი დიდად გატაცებამ მანც თეატრალურ სტუდიაში მიმიყვანა: იმ დროს თეატრალური სტუდიის დირექტორი აკ. ხორავა იყო, მეცადინებოა უკვე დაწვევამული იყო. სხვა გზა რომ ვეღარ ვნახე, გადავწყვიტე თვით დირექტორისათვის მიმეგება თხოვნით. არ მახსოვს რა ვუთხარი, როგორ ვიხივე, ეს კია, რომ იგრძნო — უარი რომ ეთქვა, ავტორდებოდი. დიდხანს მიყვარ და ბოლოს მეორე დღისათვის დამიბარა. მეორე დღეს მომცა პატარა ეტიკეტი. მართალია ძალიან ვეღვლეადი, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოვცდილი „იღბლიანი“ ვყოფილვარ. სტუდიაში ჩავირიცხე.

სტუდიაში ეკ. ვერულაშვილთან ერთად ირიცხებოდნენ: მარინა თბილელი, მერაბ გემციკორი, გიორგი აბრამიშვილი და ბებური ნიჭიერი ახლავაზრდა, რომელთაც ზოგი სამამული ომში დაიღუპა.

1938 წელს ეს სტუდია თეატრალური ინსტიტუტად გადაკეთდა, რომლის პირველ გამომგვამში სხვებთან ერთად ეკ. ვერულაშვილიც იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ეკ. ვერულაშვილი ქუთაისის თეატრში მიდის, მაგრამ დაუდევარბა ბუნებამ მსახიობს 1942 წელს სცენიდან პირდაპირ ბაქოს ხაზზე, სასენიტიო არტილერიული ამოაყოფნაში თავი.

მამაკაცურად შეიარაღებული ქალიწული გმირობაზე ოცნებობდა, მაგრამ გამოცდილი „იღბლიანი“ ფრონტის ხაზზე „უღბლო“ გამოტვდა. ავადმყოფობამ აიძულა დაეტოვებინა საპატრიო ადგილი და ისევ თეატრის დაბრუნებოდა.

— შემთხვევით იმდროინდელი სურათი ხომ არ შემოგრჩენია?

— საშუალოდ არა, ვყვალაზე მეტად მაწულებს სწორედ ის, რომ ჩემი პირველი, ცოცხალი გმირის სახე აღარ შემომჩნა.

ეკ. ვერულაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა გორში, ხაშურში, თელავში, სადაც არა ერთი, იეზობითა და წრფივით განცდილი სასუქ ირისავე შექმნა. მათ შორის აღ-

სანიწნავია: სმერაღინა (გულდონის „ორი ბატონის მსახური“), კორინენა (ოსტროვის „უნდაწაშული დანაწაგენი“), პროსტოვანა (ანტონოვის „ჩემი ახალგაზრდობა“), ჭაბატი (ავტ. ცვარცხლის „ხანუმა“), პეპელა (გიორგი მდივნის „პარადი“), პარაკეცა (შ. დლიანის „ნაპარაკეციდან“), ნინო (შ. ნარისა „გერანობათა ჭილილი“) და სხვ.

მსახიობს 27 წლის მანძილზე სცენაზე 70-ზე მეტი როლი აქვს შესრულებული და ყველა სახეს მისი სათუთი ბუნებისა და ძიების კვალი აჩნია.

მაყურებელმა შეიყვარა ეკ. ვერულაშვილის მიერ ტემპერამენტით განსაზღვრებული ლამარა (კ. ქეჭავაძის „შეხვედრა ჯილდო“). უცხვირე ქალბატონის მონარაღებული მსახური სოფი, რომლისთვისაც უცხია ამაღლებული გრნობები (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), მიმორიდველი პეპელა (კ. ბუჩიძის „ვარდი ასურცლოვანი“), დარეჯან ზანდუკელი, ყოველგვარი უცხოური გატაცებული უკუაზა და მემწინა ადამიანი (ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“) და სხვა ბევრი ირისავე.

ამ გამარჯვებების მიხუდავად რთული და დამაბული იყო მსახიობის შემოქმედებითი გზა. დიდხანს ვებდა იგი საკუთარ ამბულას... ერთხანს დრამატული სახეებმა გაიტაცეს, დაგინებენ მოითხოვდა მიცეთა მისთვის თითარანი ქვერისის როლი... თამაშა... დიდი იყო გულიტკივილი, მაგრამ მარცხებ — აშკარა... შემდეგ კი კვლავ მუშაობა, ძიება.

— რომელი როლი იყო თქვენი პირველი გამარჯვება?

— მედინა ხვანჭკარია ვ. პატარაის „ურა უჩარადიანა“.

ე. პატარაის ეს პიესა აშხლეს და დასცინის ცხოვრების ხორცმეტყვას და კომბინატორებს, დღის სინათლე გამოიკაცეს ისინი. ეკ. ვერულაშვილი კარგად გაერცვა თავის ამოცანაში და ოსტატური თამაშით დაემხრა ავტორის ამ ტიპის სრულყოფაში. მისი მედინა უქნარა, ქარაფშუტა მემწინა იყო, რომელიც შემგებულად აიღებდა სა-მუშაოს თავს. ცხოვრებაში იოლ უზას ირჩევდა.

ე. დარასელის „იკივისის“ პრემიერა იყო. ეკ. ვერულაშვილი გრნუტკას თამაშობდა. ეს ქორფლიანი, ცხვირი უკუაზა მამაკი ბიჭი ოცნებებს კიკვივის ნახვას და აი, გამორჩა მისი „ოცნების გმირი“. კიკვივის ნახვით გაზარებული გრნუტკავერულაშვილი, როგორც გათავისწინებული იყო, კიბებუტე კი არ დაეშა, არამედ



დინა დოლინა „ალადინის  
ჭაღღისნური  
ლაშქარი“.

ორი მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ გაღმობხტა ძირს. მაცურებელი აღაფრთოვანა გრემუტკას ბუნებისათვის დამახასიათებელმა მოქმედებამ და მსახიობის „ოაგვან-

წირვამ“. ბავშვებმა ისე შეიყვარეს მისი გმირი, რომ ქუჩაში მსახიობის დანახვისას ჯგუფებად მიჰყვებოდნენ „გრემუტკას“ ძახილით.



ნინვა „რაკ გინახავს,  
ველარ ნახავ“

1955 წელს ეკატერინე ვერულაშვილი გადმოდის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. აქ კი მისი პირველი გამარჯვება იყო ანეტა (მ. შარათაშვილის „ჩემი ყვავილით“). ორგანულად, მძაფრად მოქმედებდა მსახიობი, მან დაგვანახა ნამდვილი შინაბერა თავისი სულით, აზრებით. მსახიობი არც ერთი წუთით არ ეთიშება სპექტაკლს, არც ერთი წუთით არ იგრძნობა მისი „თამაში“.

ამ გამარჯვებას მოჰყვა მთელი რიგი საინტერესო იერსახეებისა: ენა სპექტაკლი თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრებას ეხება, ეს არის მეტად საინტერესო და ამაღლებველი სპექტაკლი ჩვენი თანამედროვე სოფლის ცხოვრებაზე. სპექტაკლმა კვ. ვერულაშვილს დიდი სიხარული მოუტანა. ეს იყო მისი დიდი გამარჯვება. მისი ანიკო გამსჭვალული იყო მიმზიდველი ადამიანური თვისებებით. ეს როლი მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მან ამ იერსახით ერთსდელ კიდევ შესძლო ეჩვენებინა დიდი ოსტატობა.

ამჟამად მსახიობი მისთვის დამახასიათებელი კატაქციითა და სიყვარულით მუშაობს მადამ პლუსის სახეზე (ალფრედ დე მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის“). ამ სახეზე რაიმეს თქმა ჯერჯერობით ნაადრევია, ვიმედოვნებთ, რომ მსახიობი კიდევ ერთ საინტერესო და შთამბეჭდავ იერსახეს შექმნის.

1966 წლის 28 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეკ. ვერულაშვილს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

თავდავიწყებით უყვარს მსახიობს თეატრი, ამას ადასტურებს მისი გულწრფელი სიტყვები:

— ჩემი სურვილია თეატრის წმინდა სახელისათვის, თეატრის კეთილდღეობისათვის მშენებელთა რიგში ვიყო მუდამ და მათ ერთ პატარა აგურს მეც ვაწვდიდე. თუ კი ეს შეეძლები, ბედნიერი ვიქნები.

## საქართველოს

## უძველესი ტომების

## სულიერი კულტურისათვის



დამიანის (ქალის) სახე-სკულპტურა ქვარჯვალზე. ძვ. წ. V ათასწლეული (არტუხის ნამოსახლარი სამხრეთ საქართველოში)

## ტარიელ ჩუბინიშვილი

ამიერკავკასიისა და სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებში წარმოებული გათხრების სინათლეზე ახლებურად შექცევა ჩვენს მიწა-წყალზე უძველეს ხანებში მოსახლე ტომების კულტურა. განსაკუთრებით საყურადღებოა ახლანდელ შესწავლილ ძვ. წ. V — III ათასწლეულებში მტკვრისა და არაქსის (არეზის) აუზებში მცხოვრები ტომების ნივთიერი კულტურის ძეგლები<sup>1</sup>. ეს ხანა ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლებითაა

<sup>1</sup> მუღინიშვილი — საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 103—133. A. M. Алакидзе — Развитие археологической науки и Советской Грузии. «Советская археология» № 4, Москва, 1967, стр. 9—11.


წარმოდგენილი, მათა თვისებებების განსაზღვრით სამუალება გვეძლევა დავადგინოთ ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ძეგლების კულტურულ-ქრონოლოგიური დამოკიდებულება, ამ გზით ხერხდება აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესის შესწავლა<sup>2</sup>. ეს საკითხები წამოიჭრა სამხრეთ კავკასიის ძვ. წ. V—IV ათასწლეულთა ძეგლების გათხრის შედეგად, რაც ჩვენში მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო.

ზოგი რამ ქვის ხანის დასასრულისა და ლითონის ხანის ადრეული პერიოდის შესახებ უკვე დღევანდელია.

ამ პერიოდის მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების სულიერი კულტურის ამსახველი მკითრეიცხოვანი ფაქტების აღნუსხვა-საც კი დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ენეოლითური კულტურის მრავალმხრივი შესწავლისათვის. განსაკუთრებით საჭიროა ის მასალა, რომელიც ამ კულტურის შემქმნელი ტომების საკულტურო-საბრტულთა ცხოვრების შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემს.

<sup>2</sup> A. A. Исцен — Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетиях до н. э. «Краткие сообщения института археологии». Вып. 93, 1963, стр. 10—11. P. M. Вандов, И. Г. Наринянов — Развитие археологической науки в Советском Азербайджане «Советская археология» № 4, 1967, стр. 55—57. B. H. Аракели, А. А. Мартиросян. Археологическое изучение Армении за годы Советской власти стр. 27—30.

<sup>3</sup> ტ. ჩუბინიშვილი — მტკვრისა და არაქსის ორბინიშვითის უძველესი კულტურა, თბილისი, 1965, გვ. 27—57. O. M. Джaparидзе და A. И. Джавахишвили — Итоги полевых работ в 1965 г. в Квемо-Картли; Тезисы докладов на секции археологии Кавказа пленума института археологии. Москва, 1966, стр. 13. ბობოქრაძე ივ. T. H. Чубинишвили, K. X. Кухмарева — Новые материалы по энеолиту Южного Кавказа «Матне» № 6, 1967, გვ. 336—362.



ხარის ქანდაკება. წოდის ნასახლარი (ძვ. წ. IV ათასწლეული. სამხრეთ საქართველო)


ენეოლითური კულტურა — ბინადარი, მეციდრი მოსახლეობის სამწარმოო კულტურა. საქართველოს, და საერთოდ, მტკვრისა და არაქსის ორდინარეთის ( ძვ. წ. V-IV ათასწლეულში ) ტომებს საკმაოდ რთული რელიგიური წარმოდგენები ჰქონიათ.

სამხრეთ საქართველოში აღმოჩენილი ენეოლითური სამოსახლოები — საცხოვრისების მიხედვით ირკვევა, რომ იმ დროს საგვარეულოს საეულტო წეს-ჩვეულებანი დასახლების ტერიტორიაზევე სრულდებოდა; თუმცა არა გამოიჩნებოდა, რომ ზოგიერთი საგვარეულოს დიდმნიშვნელოვანი რიტუალი სახანა-დასეულებზე ხორციელდებოდა (მაგალითად, ვაკლის საფოს წვიმის გამოწვევა და სხვ.)<sup>4</sup>.

ბინადარი — მიწათმოქმედი მოსახლეობისათვის დამახასიათებელია მიცეკლებულია დაყრბაუა საცხოვრებელ ტერიტორიაში.

4 შირ. გ. ჯალბაძე, მესხეთის შემინდრეობის წარსულიდან — მოხსენება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების 1968 წლის 24 მაისის სამეცნიერო სხდომაზე.

თხის ქანდაკება — ზესდაღარი. ძვ. წ. III ათასწლეული ახალციხის ამირანის გორის ნასახლარი, სამხრეთ საქართველო



რიაზე ან მის მახლობლად; ჭერჭერობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დაყრბაულის მხოლოდ თითო-ორიოლა ფაქტია დადასტურებული, მაგრამ ახერბაიჯანში ერთერთი სამოსახლოს სახლებს შორის და იატაკქვეშ უკვე 74 სამარხია აღმოჩენილი (ნახჭევანის ქეულ-თეფე)<sup>5</sup>.

მარნეულის რაიონის იმირის გორაზე აღმოჩენილია ორთახიანი შენობა მორკაული კელბეთი, იგი გამოირჩევა, იმავე პერიოდის სხვა ერთ ოთახიანი სახლებსაგან თუნდაც იმით, რომ ბანერი — ბრტყელი სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული, „პილისტრებზე“ და დედაბოზე გადებულ კოჭებზე. უკნა ოთახში კედლიან მიდგმულია ოთხკუთხა მოყვანილობის პატარა ტახტისებური შემადლება — პილიფი — სამსხერბლო.

არაა გამოირჩეული მოსაზრება, რომ იმირის გორაზე აღმოჩენილი უჩვეული სახლი, რაღაც განსაკუთრებული დანიშნულების — თუნდაც მსხერბლასწორივე „სამოცილელო“ იყო.<sup>6</sup>

ბოლნისის რაიონში არუხლოს სამოსახლო გორაზე გვიანენეოლითურ ფენაში ბუნნარევი გამოუმწვარი თხის პატარა ნატეხი აღმოჩნდა; აქ ჭერ კიდევ სველ თხიხე სახეკვდებით ნანტომში გამოსახულია დატოტილქანი ირემი, რომლის ზურგზე მოქცეულია მტაცებელი ცხოველი. ასეთი თხის გუნდები ხშირად ჩნდება სამხრეთის აღრედაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც თხის გუნდაც დატანილია სატაპრო ან სათემო — კოლექტიური საყურთების ხელუხებლობის მინიშნებელი სიმბოლოები და სხვადასხვა სიუეტები.

როგორც ირკვევა, არუხლოს თხის „ბულა“ ოდესღაც მიკრული იყო ორმედილიც ჭურჭლის ყელიან; ამ ჭურჭლის საყავგებო დანიშნულების გამო იგი აუცილებლად უნდა დაბეჭდული-დალუქულიყო. არუხლოს ენეოლითური სამოსახლოზე ასეთი დადასტურებული არსებობის ფაქტი თითქმის თავისთავად გავაფრებინებს, რომ სამხრეთ საქართველოს დასაერთოდ მტკვარ-არაქსის ორდინარეთშიც ამ დროს უნდა არსებულყო ისეთი ინსტიტუტი, რომელიც სათემო საყურებთან — დოვოთაის დაცივსა და მისი განწილების ფუნქციის ასრულებდა<sup>7</sup>.

